1976/2

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

აგვისტო
№ 8 1976 წ

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოსკოვი. 15 ივლისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ხელი მოაწერეს სტოკჰოლმის ახალ მოწოდებას. სურათზე: მოწოდების ხელმოწერის დროს.

საქდესი-საქინფორმის ტელეფოტო.

ამ მოწოდებამ, რომელიც მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო 1975 წლის 2 ივნისს ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ სტოკჰოლმის ისტორიული მოწოდების 25-ე წლისთავის გამო, დასაბამი მისცა მსოფლიო მასობრივ კამპანიას მშვიდობისათვის საშიში გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის და იარაღის დაგროვილი მარაგის შემცირებაზე გადასვლისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავებისათვის განვლილი წლის მანძილზე მოწოდებას სხვადასხვა ქვეყანაში უკვე ხელი მოაწერა ათობით მილიონმა ადამიანმა, ხელმოწერათა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება.

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხა-

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический
и художественно-литературный журнал
ЦК КП Грузии

# ჩვენი წინსვლის საიმედო ორიენტირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასო მეგობრებო, ჟურნალ „საქართველოს ქალის" მკითხველებო!

მიმდინარე წლის 23-24 ივლისს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმი, რომელმაც განსაზღვრა, ჩამოაყალიბა, დაასაბუთა რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის მოქმედების კონკრეტული გზები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 22 ივნისის დადგენილების წარმატებით შესასრულებლად.

პლენუმმა მოისმინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება „თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება სკკპ XXV ყრილობის მიერ განსაზღვრული ამოცანების განსახორციელებლად საქართველოს კომპარტიის საქმიანობის საბრძოლო პროგრამაა". ამ საკითხზე აზრი გამოთქვა 32 მოკამათემ. პლენუმმა მიიღო დადგენილება და დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პოლიტიკური ღონისძიებები სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა და საქართველოს კომპარტიის ბოლო წლების საქმიანობაზე მიღებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელებისათვის.

ეს პლენუმი, რომელიც რესპუბლიკის მშრომელთა დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის, ხალისიანი, ამაღლებული განწყობილების დღეებში გაიმართა, მეტად მნიშვნელოვან, საპატიო ადგილს დაიკავებს საქართველოს კომუნისტური პარტიის მთელს ისტორიაში. სწორედ აქედან იწყება საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ბრძოლის ის ახალი ეტაპი, როცა რესპუბლიკაში მომხდარი დიდი პოზიტიური ცვლილებების შენარჩუნებასთან ერთად, უფრო ღრმად, უფრო გაშლილი ფრონტით უნდა შევუტიოთ ყოველგვარ ნეგატიურ მოვლენებს, როცა უნდა გადავწყვიტოთ უფრო რთული და მასშტაბური ამოცანები.

პლენუმის მონაწილეებმა, რომელთაც ერთსულოვნად, მხურვალედ მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალი დადგენილება, ეს დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტი მიიჩნიეს, როგორც საქართველოსადმი, მისი მშრომელებისადმი ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ჭეშმარიტად ლენინური ზრუნვის კიდევ ერთი ახალი თვალნათელი და მკაფიო გამოხატულება.

პლენუმის მთელს მუშაობას, მის სხდომებზე თითოეული ორატორის გამოსვლას წითელი ზოლივით გასდევდა მოთხოვნა — არ დავკმაყოფილდეთ მიღწეულით, გვწყუროდეს მაქსიმუმის გაკეთება, ავამოქმედოთ ახალ-ახალი რეზერვები, მთავარი ყურადღება მივაპყროთ ჩვენი ეკონომიკისა და კულტურის განვითარების ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებს.

წაიკითხეთ, კიდევ უფრო ღრმად გაეცანით პლენუმის მასალებს! მათში თქვენ იპოვით, ძვირფასო მეგობრებო, თქვენს კონკრეტულ საქმეებს. ბევრი ციფრი, ფაქტი, მოვლენა, რომელიც პლენუმმა განიხილა, ზუსტად მიუთითებს, თუ სად, რა უბანზე, რომელ დარგში, რომელ რეგიონში საჭიროა საგანგებო ზომების მიღება, თუ რატომ ჩამორჩა ესა თუ ის საწარმო, მეურნეობა, სამშენებლო თუ სატრანსპორტო ორგანიზაცია. ერთი სიტყვით, პირველი რიგის ამოცანა ის არის, რომ როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების, ისე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის მასალებს კარგად იცნობდეს ყოველი ჩვენგანი, და არა მარტო იცნობდეს, ყოველდღე, ყოველ საათს ფიქრობდეს, იღვწოდეს, მუშაობდეს კიდეც მათ განსახორციელებლად.

დღეს საქმე ყველასათვის მოიძებნება, ყველას შეუძლია გამოიჩინოს თავი, როგორც ჭეშმარიტმა მოქალაქემ და პატრიოტმა.

ახლა მთავარზე მთავარი ის არის, არ შევანელოთ უკომპრომისო, შეურიგებელი ბრძოლა ბიუროკრატიზმის, უპასუხისმგებლობის, უყაირათობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ, საკადრისი პასუხი გავცეთ მეჩრჩილებსა და ობივატელებს, ყველგან და ყველაფერში დავამყაროთ მტკიცე წესრიგი და დისციპლინა, მკაცრად დავიცვათ სოციალისტური კანონიერება! ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიური და სულიერი ცხოვრების სხვადასხვა უბანზე პარტიული ორგანიზაციების როლისა და გავლენის გაძლიერება ყველა ჩვენი სიკეთის, წარმატების, წინსვლის მარად დაუშრეტელი წყაროა.

მაშ, გავაჩაღოთ დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, როგორც იტყვიან, ყველამ უნდა დავიკაპიწოთ ხელები!

3058

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რ. ბიბლიოთეკა

# დავდგეთ მოწოდების სიმაღლეზე!

რუსთაველთა ახალი პატრიოტული თაოსნობა დევიზით: ,,არცერთი ჩამორჩენილი, უდისციპლინო — ჩვენს გვერდით!“ — ლოგიკური შედეგია იმ დიდი სულიერი აღმავლობისა, რომელიც მოჰყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებას ,,პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“.

რუსთაველი მეტალურგები საკუთარი შრომითი გამოცდილებით დარწმუნდნენ თუ რა სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყვეს კოლექტივის მაჯისცემის, სიფხიზლის, პასუხისმგებლობის მოდუნებას და პირიქით — რის მიღწევა შეუძლიათ ერთი მიზანსწრაფვით, საქმის ერთგულებითა და სიყვარულით, დიდი მოქალაქეობრივი შეგნებით შემტკიცებულ ადამიანებს.

იქნებ მეტალურგთა ოჯახის ზოგიერთ წევრს შეუძლებლადაც კი მიაჩნდა იმ ჩამორჩენილობიდან თავის დაღწევა, მილიონ მანეთობით ზარალად რომ დაუჯდა ქარხანას და მთლად ჩვენს ქვეყანას, მაგრამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის ცნობილმა დადგენილებამ უდიდესი მამობილიზებელი როლი შეასრულა ჩვენი რესპუბლიკის ყოველი პატიოსანი მშრომელის ცხოვრებაში. ეს ჰგავდა მეხის გავარდნას ნაკლოვანებებთან შერიგების, პატრიოტული და პროფესიული სინდისის მიძინების, უდარდელობისა და თვითდამშვიდების ატმოსფეროში — მწარე მაგრამ სახიკეთო გამოფხიზლებას, რომელმაც დიდი, ფასდაუდებელი გავლენა მოახდინა მთელი ჩვენი ხალხის შემდგომ ცხოვრებაზე.

იმ დღიდან რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის განახლებული ხელმძღვანელობის მეთაურობით დიდი ბრძოლები გაჩაღდა დაკარგული პოზიციების დასაბრუნებლად, ჩვენი ცხოვრების ყოველი უბნის პოლიტიკურ-მორალური გაჯანსაღებისათვის.

და, აი, ხელმძღვანელი კადრების შერჩევის, ძალთა გადაჯგუფების, კრიტიკისა და თვითკრიტიკის, კონტროლისა და თვითკონტროლის ბასრი იარაღის გამოყენებით, ცხოვრების ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლით, თავდადებული შრომით ჩვენმა ხალხმა შესძლო ასეულობით საწარმოო ობიექტის ჩამორჩენილობის რკალიდან გამოყვანა, IX ხუთწლედის კეთილად დაგვირგვინება.

უმტკივნეულოდ როდი მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ეს პროცესი! ადამიანებს მარტო საკუთარ კოლექტივში, სამუშაო უბანზე როდი უხდებოდათ და უხდებათ ბრძოლა, არამედ საკუთარ თავთანაც, საკუთარ ინსტინქტებთანაც. და, აი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებით ქვეყანას ემცნო ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში მომხდარი გარდაქმნების ყველა სიკეთე და დაისახა გზები ქვეყნის შემდგომი სოციალ-პოლიტიკური, კულტურულ-ეკონომიური აღმავლობისა.

უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში შექმნილი სამი დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი: სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 და 1976 წლების დადგენილებები საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის თაობაზე და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს მიერ საქართველოსათვის დამტკიცებული სახალხო მეურნეობის განვითარების გრანდიოზული გეგმა კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმ დიდი ზრუნვისა, რომელსაც იჩენს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით, საბჭოთა დიდ ოჯახში შემტკიცებული ხალხებისა და, ამჟერად — ჩვენი რესპუბლიკის მიმართ.

წინ დიდი გზაა, დიდი პერსპექტივები!

განვლილ ხუთწლედს თუ თვალს გადავავლებთ, დავრწმუნდებით, რომ ყველა მათგანს საკუთარი იერსახე აქვს. X ხუთწლედში ქვეყნის პოლიტიკურ-სოციალ-ეკონომიური განვითარებისა და ადამიანის პირადული ბედნიერების პრობლემები განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთკავშირშია, რაც გამოვლინებულია ლოზუნგით: ,,ადამიანი — საზოგადოებას, საზოგადოება — ადამიანს!“

რას ჰქმნის საბჭოთა ადამიანი, როგორ ასრულებს თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას, როგორია მის მიერ შექმნილი პროდუქციის ხარისხი, როგორია მისი წვლილი ცხოვრების შემდგომი აღმავლობის ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური გაძლიერება-განმტკიცების საქმეში და რა კეთდება ადამიანისათვის, როგორ კმაყოფილდება მისი მოთხოვნილებები, როგორია აღმზრდელობითი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სამედიცინო, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების დაწესებულებათა მუშაობის, საბინაო მშენებლობის დონე? — აი, მეათე ხუთწლედის საზრუნავი.

გავუსწორდეთ საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში, ვიყოთ უკეთესნი უკეთესთა შორის! — ეს არის ჩვენი სადღეისო საბრძოლო ამოცანა და დიდი ოცნება. ხოლო ამ ამოცანის განხორციელების წინაპირობაა: ყველა ჩვენგანის საქმისადმი კიდევ მეტი გულმხურვალება, ძალთა მობილიზება და სწორი წარმართვა და რწმენა, რწმენა უპირველეს ყოვლისა, რომ ყველაფერი, რასაც აკეთებ, კეთდება ადამიანთა სიკეთისათვის, ქვეყნის სახელისა და ღირსებისათვის, შენივე შვილების ბედნიერებისათვის.

რუსთაველთა მოწოდებებს: ,,არცერთი ჩამორჩენილი, უდისციპლინო — ჩვენს გვერდით!“ და ,,სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას — მუშური გარანტია!“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. შევარდნაძემ ,,სიახლის ყლორტი“, ,,კომუნიზმის ყლორტი“ უწოდა.

ამ ყლორტის ზრდა-გაძლიერებას კეთილმყოფელი ნიადაგი და საგანგებო მოვლა სჭირდება.

დისციპლინა — თვითდისციპლინა!

არ გვეგულება ჩვენი ცხოვრების არცერთი უბანი, რომელიც დღეს ამ მოწოდებას არ ეხმაურებოდეს.

დისციპლინისა და თვითდისციპლინისაკენ მოვუწოდებთ ყველა ერთმანეთსა და საკუთარ თავს.

დისციპლინა დედაა ორგანიზებულობისა, ორგანიზებულობა საწინდარია ყოველი გამარჯვებისა.



მხოლოდ მაშინ გაქვს უფლება, მოუწოდო სხვას წესიერებისაკენ, თუ თვითონ ხარ წესიერი;

დისციპლინისაკენ, თუ თვითონ ხარ დისციპლინირებული;

ორგანიზებულობისაკენ, თუ თვითონ გეხერხება საკუთარი ძალების, სურვილების, მიზნების, მოქმედების მობილიზება.

ამხ. ე. შევარდნაძემ რუსთაველთა შეკრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში ხაზი გაუსვა ოჯახის უდიდეს აღმზრდელობითს როლს: „როცა საზოგადოებრივი დისციპლინისა და ორგანიზებულობის საკითხებს ვსვამთ და ვწყვეტთ, გულგრილი არ უნდა ვიყოთ ოჯახის დისციპლინის პრობლემებისადმი. ოჯახი საზოგადოების სოციალური უჯრედია, იქ იზრდება მომავალი თაობა, მე ვიტყოდი — მთელი თაობები. და ყველაფერი, რაც საუკეთესო აქვს წინა თაობათა ტრადიციებს დისციპლინის განმტკიცების, ადამიანის აღზრდის დარგში, უწინარეს ყოვლისა, ოჯახში უნდა გადაეცეს მოზარდ თაობას".

ამ ტრადიციების აღმზრდელის დიდი და საპატიო მოვალეობა, უპირველესად ქალს ეკისრება.

რით ვუპასუხებთ ჩვენ, ქალები — მშრომელები, დედები, დიასახლისები დაკისრებულ მოვალეობას, ჩვენს სადღეისო ამოცანებს? ჩვენი ხელებით მოწეული ასობით და ათასობით ტონა ჩაით, ხილით, ყურძნით, მარცვლეულით, ციტრუსებით, ჭარხლით, აბრეშუმით, ბოსტნეულით... ათასობით ტონა ნართით, მილიონობით მეტრი ქსოვილით, უამრავი დასახელების სხვადასხვა ნაწარმით... ჩვენი თავდაუზოგავი შრომით ჩვენი ძმების, მამების, შვილების, ქმრების გვერდით მეურნეობებსა თუ წარმოებებში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სამეცნიერო ლაბორატორიებში, მშენებლობებზე, სკოლის მერხთან თუ ავადმყოფის საწოლთან...

და მაინც ყველაზე დიდი საზრუნავიცა და სიხარულიც ჩვენთვის საამაყო შვილების აღზრდაა — იმ სიცოცხლის აღზრდა, რომელსაც თვით ვაძლევთ საგზურს ცხოვრებაში, რომლისთვისაც ვიბრძვით, ვიღვწით, ვშრომობთ და ურომლისოდაც აზრი დაეკარგებოდა ყველაფერს, რაც კაცობრიობას საუკუნეთა მანძილზე შეუქმნია. ქალი კაცის გვერდით ჰქმნის სახელმწიფო დოვლათს და ამავე დროს შობს და ზრდის მშენებელს, მებრძოლს, მშრომელს, მოქალაქეს, მომავალი ოჯახისა და სახელმწიფოს ბურჯს. თუ ეს ბურჯი მტკიცეა, თუ შევძელით ჩაგვენერგა შვილის გულში სიწრფელე, პატიოსნება, სამშობლოს და შრომის სიყვარული, გმირული სული, მტკიცე, მიზანსწრაფული ხასიათი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი მშობლიური და მოქალაქეობრივი ვალი შესრულებულია.

საიდან იწყება ბავშვისთვის ამ თვისებათა ჩანერგვა? მისი დაბადებიდან. უფრო მეტიც: შთამომავლის აღზრდას საძირკველი მშობლების ქორწინების პირველი დღეებიდანვე ეყრება, როდესაც ერთ ჭერქვეშ დასახლებული მეუღლენი იწყებენ ერთმანეთის აღზრდას ურთიერთგაგების, პატივისცემის მომთხოვნელობის და საოჯახო შრომის სამართლიანი განაწილების საფუძველზე.

ამ პრინციპებიდან ოდნავი გადახვევაც კი დამღუპველად მოქმედებს მოზარდზე, მცდარ წარმოდგენას უქმნის მას ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებაზე, შრომაზე, სამართლიანობაზე. და იქცევა კი ეს ბავშვი მომავალში სასარგებლო ადამიანად?

ეჭვი არ არის, რომ თითქმის ყველა ანტისაზოგადოებრივი მოვლენის მიზეზის ძიებას საბოლოოდ ოჯახთან მივყავართ, რომ უმეტეს შემთხვევაში, ოჯახის ამა თუ იმ წევრის და მით უმეტეს მეუღლის დანაშაულებრივ მოქმედებაში მის მეორე ნახევარსაც მიუძღვის ბრალი (ზოგჯერ მთავარიც!), ხოლო შვილების მორალური სახის ჩამოყალიბებას მშობლები განაპირობებენ.

თუ მშობლები პატიოსნები, დისციპლინირებული, ორგანიზებული არიან, მათ შვილებსაც ეს თვისებები გაჰყვებათ ცხოვრებაში.

„კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე გადმოდინდების", — ამ კოკას კი უპირველესად, ჩვენ ვავსებთ, მშობლები.

ადამიანს ის მიაქვს თავის სამოღვაწეო უბანზე, რაც ოჯახიდან, შემდეგ ბაღიდან, სკოლიდან, ინსტიტუტიდან წაუღია.

სწორედ აღზრდის ჯაჭვის ყოველი ამ რგოლის აუცილებელი სიმტკიცე უდევს საფუძვლად ნამდვილი ადამიანის აღზრდას.

დავდგეთ ჩვენი მოწოდების სიმაღლეზე!

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციამ დააწესა ყოველწლიური ჯილდო „ღიმილის პრიზი“. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ამ პრიზით დაჯილდოვდებიან წლის ყველაზე სამაგალითო, თავაზიანი—ღიმილმფინარი გამყიდველი ქალები.

პირველი—1976 წლის პრიზის მფლობელია ქალაქ თბილისის ცენტრალური უნივერმაღის გამყიდველი დარიკო კაპანაძე.

# ႠႣႠႫႨႠႬႨ ႳႬႣႠ ႢႨႷႥႠႰႣႤႱ



პრიზის გადაცემის საზეიმო მომენტი

კეთილ ადამიანებთან შეხვედრის სიხარული მთელი ცხოვრების გზაზე მიგყვება. კარგია, შენ ცხოვრებას ასეთ ადამიანთა ღიმილი რომ ახლავს...

ღიმილი გამხნევებს, სტიმულს გაძლევს, სულში სითბოს გიგროვებს...

დავალება მივიღე. გამყიდველ ქალთა მომსახურების კულტურას უნდა დავკვირვებოდი, რომელიც მომეწონებოდა, რედაქციისათვის მისი გვარი შემეტყობინებინა, მისი ამბავი მომეთხრო, რათა ღიმილის პრიზის მისაღები კანდიდატურების სიაში შეეტანათ.

რუსთაველის პროსპექტს გავუყევი... დავივიწყე ყველა ადრინდელი შთაბეჭდილება; წარმოვიდგინე: მაღაზიაში შესვლისთანავე გამყიდველი მომხმარებელს ღიმილით როგორ გეგებება, გთავაზობს, გირჩევს საქონელს, ისე ლამაზად წარმოგიდგენს ყველაფერს, რომ იფიქრებ, მე ხომ ეს ნივთი ასე მჭირდებოდაო. შენი ძისვლის, მადლობის ნიშნად თავს დაბლა ხრის... შენ კი გახსომდება მისი სახე, თავაზიანს კვლავ გინდა ესტუმრო...

ეს იყო წარმოდგენით.

...არ ვიცი, იმ დღეს რა ფეხზე ავდექი, რომელ გამყიდველსაც შევხედე, გარეთ, ქუჩაში მაგიდასთან მდგომს თუ შიგ მაღაზიაში, ყველა თავდახრილი იდგა...

დახლთან საკაბე ნაჭერს შევავლე ხელი, ძოჩითულობას დავაკვირდი, შემდეგ ფასი ვიკითხე.

— თუ არ იყიდი, თავი გაანებე! — მომესმა ზურგსუკან ფართლეულობის თოფებს შუა მყოფი შუახნის გამყიდველის ხმა...

გულში ერთი სიმი ჩამწყდა... ესეც შენი ნანატრი შეხვედრა! მოვუგე ჩემს თავს იქვე ნიშნა და ცივად მოვტრიალდი. საკაბე ნაჭერმა მიმზიდველობა დაკარგა. მეორე განყოფილებაში ნაქსოვი კოფთის ზომა ვიკითხე.—ზედ აწერია, წაიკითხე და გაიგებ! ათასი კაცი შემოვა, ყველას თავიდან თუ მოვუყევი წონა-ზომა, ფერი და ფასი... თავი ამტკივდება!

მოვუბოდიშე, სათვალე თან არ წამომიღია, ამიტომ გთხოვეთ-მეთქი.

პროსპექტს თავქვე გავყევი. სასურსათოშიც შევიხედე. გამყიდველს ნახევარი ინდაურის აწონა ვთხოვე. შენც არ მომიკვდე! — შუბლშეკრულმა ახალგაზრდამ შომახალა. — თუ გინდა, მთლიანად წაიღე, თუ არა და მყიდველს ვიშოვნი!

მეორე მაღაზიაში კვერცხის გამყიდველისაგან მომხვდა: „10 ცალს ერთი კატეხილი უნდა გავაყოლო, მა რა ვქნა, სულ მე ვზღო?! გიჟი კი არა ვარ!“

იმ დღეს არც მიყიდია რამე და გუნებაც მომეშხამა. შინ წიგნი ვერ გადავშალე, შვილს ვერ მოვეფერე, სადილიც უგემური მეჩვენა... კეთილი სიტყვა ვინატრე...

ვინატრე, რომ მეორე დღეს ავტობუსის მძღოლის თუ პურის გამყიდველის სახეზე, ყველას, ყველას სახეზე კეთილი ღიმილი მეხილა.

ნეტავ ვიცოდე, ადამიანები, რომლებიც ასე უტიფრად მოგმართავენ, შინაც ასე უხეშობენ? ნუთუ?

თავს ვინუგეშებდი: ერთი მათაც ჰკითხე? იქნებ იმ დღეს თავიანთი სატკივარი აწუხებდათ? იქნებ ჩემი ბრალია? — არ ვიტეხდი იხტიბარს.

დავალება უნდა შემესრულებინა! ვჯიუტობდი. რიგითს მომხმარებელს რიგითი გამყიდველი-

საგან კეთილი ღიმილი მინდოდა მიმეღო, აქედან დამეწყო მისი გაცნობა.

მეორე დღეს პლეხანოვის პროსპექტს გავუყევი. ვიარე, ვიარე და თბილისის ცენტრალურ უნივერმაღს მივადექი.

შევიდე? არ შევიდე? შევხვდები?

ამ უზარმაზარ კოლექტივში სად გამოარჩევ კეთილ გამყიდველს. იქნებ უფრო პატარა მაღაზიებში შესვლა ჯობდეს. იქნებ იქ უფრო იოლად მოძებნო ღიმილის პრიზის კანდიდატურა, მას ხომ რედაქციაში ასე ელიან!

...მყიდველთა უწყვეტმა ნაკადმა უნივერმაღის კიბეებისაკენ გამიტაცა... ხალხმრავლობა იყო. თვალი გაცვეთილი საფეხურებისაკენ გამექცა. რამდენს უვლია! ვინ იცის მერამდენე ვარ?

დახლებში ახალგაზრდობა ჭარბობდა...

გული გამიხალისა წინდების, სათამაშოების, სპორტული ნივთების თუ სხვა სექციებში მდგომმა კოპწია ქალიშვილებმა. აღზრდის სხვა სკოლა ვიგრძენი. სათავის ძებნა დავიწყე... მესამე სართულზე გალანტერეის განყოფილებას მივადექი...

ჭაღარა ქალი საოცრად ახალგაზრდა მეჩვენა. ალბათ ღიმილი აახალგაზრდავებდა! მომხმარებელთან მოსაუბრეს ცისფერი თვალები უბრწყინავდა. გვერდით გამყიდველი ქალიშვილი ედგა, რომელიც მის ყოველ მოძრაობას, სიტყვას, პასუხს აკვირდებოდა!

ვინაობა აბრამ გვამცნო. დახლში დარიკო კაპანაძე იდგა. ვიღაც მოხუც ქალს დიდხანს უხსნიდა ზაფხულში ნაფტალინმოყრილი შალის ტანსაცმლის შესანახავი პარკის დანიშნულებას. შემდეგ მე მომიბრუნდა, რას ინებებთო. თეთრი კოჭისძაფი ვთხოვე. მთელი ყუთი გადმომიღო, ათი ფერისა ამარჩევინა, ოჯახი დიდია, ვინ იცის რაში და რა დროს დაგჭირდებათო. და, ეს ისე ტკბილად, გულღიად მითხრა, რომ...

ბავშვიანმა ქალმა გოგონას ბაფთები უყიდა. დარიკო ბავშვს მოეფერა. ქალს ღიმილი გააყოლა.

ჭაბუკმა ელექტროსაპარსი იკითხა. გულმოდგინედ აუხსნა მოვლისა და ხმარების წესი...

შესვენების წუთები საუბრისათვის წავართვი.

...მისი ოჯახი ბერშუეთიდან თბილისში ჯერ კიდევ ომამდე ჩამოსულა. მამა ზეინკალი ყოფილა, დედა — აბრეშუმის ფაბრიკის მქსოველი. ოთხ და-ძმას მამა ადრე გარდაცვლიათ, ამიტომ დარიკო თურმე კოჯრის საბავშვო სახლში იზრდებოდა. ცნობილი ფეხბურთელის გაიოზ ჯეჯელავას მამა დახმარებიათ ობლებს გზის გაკვლევაში. არც ერთი არ ასცდენია შრომის გზას! საბავშვო სახლში დარიკოს რომ ჰკითხავდნენ, რა გსურს გამოხვიდეო, პასუხი თურმე ერთი ჰქონდა: — გამყიდველიო. თამარ ძასწავლიშვილმა 1938 წელს თბილისის ცენტრალურ უნივერმაღში მიიყვანა. მაშინ 16 წლისა იყო. იმ დღიდან ფეხი არ მოუცვლია აქედან.

უნივერმაღთან არსებული ვაჭრობის ერთწლიანი სკოლა დაამთავრა, სკოლის დირექტორი კოტე გამეზარდაშვილი და პედაგოგი თამარ ლურსმანაშვილი ღვიძლი შვილივით ზრუნავდნენ მასზე.

— უფლება არა მაქვს კეთილი არ ვიყო, დავალებული ვარ კეთილი ადამიანებისგან და იმიტომ!

ვაჭრობა სიწმინდეს, კულტურულ მომსახურებას, მყიდველებთან კეთილ დამოკიდებულებას და ღიმილს თხოულობს. დიახ, ღიმილს! ასე ჩაუნერგა მას იმ წლებში სავაჭრო სკოლის დირექტორმა კოტე გამეზარდაშვილმა.

დარიკო კაპანაძეს ყველა ენდობოდა. ნდობა კი ამ სისტემაში დიდი ღირსებაა. სამუშაო დღის დასასრულს მისგან ნავაჭრ თანხას სალაროში დაუთვლელად იღებდნენ, არ ახსოვთ კაპიკი დაკლებოდა.

...უნივერმაღის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე იყო, ომი რომ დაიწყო ორი წელი გაატარა საბჭოთა არმიის რიგებში. ნამუსიანად მოიხადა სამშობლოს წინაშე ვალი და კვლავ უნივერმაღს დაუბრუნდა.

— ახლა ჩვენთან თანამშრომელთა 90 პროცენტი ახალგაზრდობაა. მიხარია! მეც ახალგაზრდა მგონია თავი, ასაკი რას მიქვიან! მთავარია, შრომის ხალისი გქონდეს, ადამიანები გიყვარდეს, ის საქმე გიტაცებდეს, რომელსაც ემსახურები, ღიმილი.. ღიმილი კი თავისთავად მოვა! — მითხრა დარიკომ და საათის ისარს შეხედა... შესვენების დრო იწურებოდა. გალანტერიის განყოფილებასთან მყიდველები გროვდებოდნენ. დარჩენილ წუთებში ოჯახის ამბების გამოკითხვა მოვასწარი, „ქალ-ვაჟი მყავს. მეუღლე მძღოლია, ქალიშვილი „ელექტროგამშვებში“ ინჟინრად მუშაობს, კარგი სპეციალისტია, ორი შვილის დედა გახლავთ. ვაჟი ახლახან ჩამოვიდა საბჭოთა არმიის რიგებიდან, შრომა არ ეზარება, სპორტს მისდევს, კარგი მშვილდოსანია“.

..საათის ისარმა შესვენების წუთები მიითვალა. დარიკო მომხმარებელს შეეგება. ერთს ღილები მიაწოდა, მეორეს ქოლგის არჩევაში დაეხმარა, მესამეს საქსოვი ჩხირები შეურჩია.



ჩემი სექცია დღეში 600-700 მანეთს ვაჭრობს, გეგმას ყოველთვის ვასრულებთ, გამახსენდა მისი ნათქვამი.

შემდეგ, უნივერმაღის პარტიული კომიტეტის მდივანს მივაკითხე:

— ჩვენი უნივერმაღის დედა-ქალი, გულთბილი, გულისხმიერი, კოლექტივის სული და გული, აი როგორია დარიკო კაპანაძე — მითხრა პარტიული კომიტეტის მდივანმა ირაკლი პატარქალაშვილმა. გამიხარდა, ალღომ რომ არ მიმტყუნა.

...დარიკოს ნათქვამი გამახსენდა: მომხმარებელთა შორის უხეშებიც მხვდებიან, ბრძანების კილოთი მოგმართავენ, სხვის მომსახურებას არ გაცლიან, რას იზამ, ჩვენი მოვალეობა მაინც ის არის, მოვითმინოთ, უკმეხად არ შევეპასუხოთ, სახეზე ღიმილი არ მოვიცილოთ, სიმშვიდითა და თავაზიანობით დავთრგუნოთ მისი უხეშობა. შენი ცუდი გუნება სხვას არ უნდა გადასდო!

დარიკოს სურათს სოციალისტური შეჯიბრების დამკვრელთა, დიდი სამამულო ომის ვეტერანთა ღაფებზე, ქალაქის საუკეთესო გამყიდველთა სტენდზე ვხედავთ.. ამ უნივერმაღში მუშაობის 40 წელი უსრულდება. უკვე პენსიაზეა გასული, მაგრამ რაკი უნივერმაღის კოლექტივს სჭირდება, ვერ ღალატობს! ბედნიერებაა, ადამიანებს რომ სჭირდები!

მთავარ ჯილდოდ დარიკო მომხმარებლის მადლობას, გვერდით მომუშავე ახალგაზრდობის მადლობას თვლის; თბილისის ცენტრალური უნივერმაღის აღმზრდელ მასწავლებლად ითვლება. ახალბედებს ვაჭრობის წესებთან ერთად ღიმილის ფასს ასწავლის; აი ახლაც ნათია თოფურიას, ანჟელა ფრუიძესა და ზაირა ფილიევას გალანტერიის სექციისათვის ამზადებს..

— გეთაყვა, გენაცვალე, ბატონო! გიყვარდეს ეს სიტყვები. ნუ დაამადლით მომსვლელს ტკბილ სიტყვას, — უხსნის ახალგაზრდებს.

გეგმები? — 1974 წელს 101 პროცენტით შეასრულა. 1975-ში — 125 პროცენტით, წლეულს უკვე რვა თვის გეგმა აქვს შესრულებული. მონდომებას, დისციპლინას, წესიერ მუშაობას ფულადი პრემიები, სიგელები, ვიმპელები, კომუნისტური შრომის დამკვრელის სახელი მოჰყვება თან. მკერდს ,,საბჭოთა ვაჭრობის ფრიადოსნის“ ნიშანი უმშვენებს.

...თაროზე აწყვია ქოლგები, ნემსები, სხვადასხვა ფერის ბაფთები, ელექტროსაპარსები, საქსოვი ჩხირები, ყველა აუცილებელი საგალანტერიო საქონელი.

დარიკო კაპანაძეს ღიმილი არ სცილდება... ამიტომაც ვარჩიეთ, ჟურნალ ,,საქართველოს ქალის“ 1976 წლის ,,ღიმილის პრიზი“ მისთვის მიგვეკუთვნებინა.

ასე შევასრულე ეს საპატიო და სასიამოვნო დავალება.

დღეს, როცა ყველაფერი ისტორიული ყრილობის დადგენილებების განსახორციელებლად კეთდება, როცა თითოეული ჩვენთაგანის შრომის შედეგი იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ რა სარგებლობა მოაქვს მას რესპუბლიკისათვის, ადამიანთათვის, ნუ დავიზარებთ ალალ შრომას, კეთილ ღიმილს. ღიმილი უნდა ახლდეს ჩვენი ცხოვრების დღეებს.

ნათელა ფაილოძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

არის დარგი, რომელიც ყველა რაიონში უნდა დარჩეს და განვითარდეს გაძლიერებული ტემპით. ეს არის მეცხოველეობა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის მასალებიდან.

# მეცხოველეობა — ინდუსტრიულ საფუძველზე

დადგენილებაში ,,თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ამოცანად დაგვისახა მეცხოველეობის ყველა სახეობის პროდუქციის წარმოების მკვეთრი ზრდა. ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი პრობლემის წარმატებით გადაწყვეტისათვის ბრძოლაში, ეჭვგარეშეა, ფასდაუდებელ სამსახურს გაგვიწევს სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელება.

გარდა ამისა, მუშაობაში დიდად დაგვეხმარება თბილისში ჩატარებული მეცხოველეთა სრულიად საკავშირო თათბირ-სემინარზე მიღებული ის დიდი გამოცდილება, რაც წარმოადგინეს საჩვენებელმა ობიექტებმა. მუშაობა უნდა წარვმართოთ დევიზით — ორიენტირი: სრულიად საკავშირო თათბირ-სემინარის საჩვენებელი ობიექტები!

,,საქართველოს შეუძლია და უნდა გახდეს კიდეც მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა“ — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის ტრიბუნიდან ნათქვამი ეს სიტყვები საბრძოლო მოწოდებად გაისმის ჩვენი რესპუბლიკის მთასა და ბარში, სოფლად და ქალაქად. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველაზე ჩამორჩენილი დარგის — მეცხოველეობის საკავშირო, მოწინავე პოზიციებზე გაყვანა საქართველოს მშრომელების საზრუნავთა საზრუნავი ვახდა.

რესპუბლიკაში დიდმნიშვნელოვანი, ჭეშმარიტად რევოლუციური ღონისძიებანი ტარდება მეცხოველეობის აღმავლობისათვის, მისი ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანისათვის. ფართო მასშტაბებით ხორციელდება სპეციალიზაცია და კონცენტრაცია.

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე კარგი ტემპი იქნა აღებული მეცხოველეობის ზოგიერთი პროდუქციის წარმოებისა და დამზადების გადიდების მხრივ. წარმოების ზრდის ტემპმა 1973-1975 წლებში 1971-1972 წლებთან შედარებით საერთოდ, საბჭოთა კავშირში შეადგინა 114 პროცენტი, ხოლო საქართველოში — 120 პროცენტი. საშუალო წლიური შესყიდვა ჩვენში, აგრეთვე, უფრო სწრაფად მატულობს, ვიდრე საშუალოდ კავშირში. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე მეცხრე ხუთწლედის პირველ ორ წელთან შედარებით პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის ზრდამ ერთობლივ ჩვენს ქვეყანაში შეადგინა 106,5 პროცენტი, ხოლო საქართველოში — 120,7 პროცენტი, რძის შესყიდვის ზრდამ— 0,4 პროცენტით მეტი, კვერცხისა — 16 პროცენტით მეტი. მაგრამ ყოველივე ეს დიდი წინსვლის პირველი გაბედული ნაბიჯებია, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ ჩვენი რესპუბლიკა მეცხოველეობაში მოწინავე პოზიციებზე გავა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ინდუსტრიული საფუძველი მეცხოველეობისა და მეფრინველეობის განვითარების მაგისტრალური მიმართულებაა. სწორედ ამ მაგისტრალური მიმართულების განხორციელების გზებსა და შესაძლებლობებზე იყო სჯა-ბაასი სრულიად საკავშირო თათბირ-სემინარზე, რომელიც ივნისის დამდეგს საქართველოში გაიმართა. თათბირ-სემინარმა, რომელიც მოაწყეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო გაერთიანება ,,სოიუზსელხოზტექნიკამ“, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და რესპუბლიკურმა გაერთიანება ,,საქსოფლტექნიკამ“, თვალნათლივ დაგვანახა, თუ რაოდენ დიდი მუშაობა წარმოებს ჩვენს რესპუბლიკაში მეცხოველეობის გაძღოლის ტექნოლოგიის გასაუმჯობესებლად, დარგის ინდუსტრიულ საფუძველზე სწრაფად გადასაყვანად. ჩვენი დიადი სამშობლოს ყოველი კუთხიდან, ყოველი მოკავშირე რესპუბლიკიდან ჩამოსული ხუთასზე მეტი პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკი და მეცნიერების წარმომადგენლები გაეცნენ თათბირ-სემინარის საჩვენებელი ობიექტების კოლექტივების გამოცდილებას.

სადაც კი იყვნენ თათბირ-სემინარის მონაწილეები — მეცხოველეობის კომპლექსებში თუ მეფრინველეობის ფაბრიკებში, ,,საქსოფლტექნიკის“ საწარმოებში თუ რაიონულ გაერთიანებებში, ყველგან ნახეს, თუ რაოდენ სასარგებლო საქმე კეთდება მეცხოველეობის აღმავლობისათვის.

სრულიად საკავშირო თათბირ-სემინარისათვის მზადების პერიოდში მართლაც ბევრი რამ გაკეთდა მეცხოველეობის გაძლოლის ტექნოლოგიის გასაუმჯობესებლად. თათბირ-სემინარის მონაწილეები — მოსკოველი მეცნიერი იყო იგი თუ უკრაინელი მეცხოველე-მექანიზატორი, რუსი თუ უზბეკი, აზერბაიჯანელი თუ სომეხი, ყირგიზი, ლიტველი თუ ქართველი, ერთხმად აღიარებდნენ, რომ საჩვენებელი ობიექტების გამოცდილება ფასდაუდებელი სიმდიდრეა, იგი ხელს შეუწყობს მეცხოველეობის გაძლოლის ტექნოლოგიის გაუმჯობესებას, ქვეყნის საერთო დოვლათის ზრდას.

მაინც რამ მიიპყრო ყველაზე მეტად თათბირ-სემინარის მონაწილეთა ყურადღება, რა შეიძლება სამაგალითო იყოს ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეთა საქმიანობიდან ქვეყნის მეცხოველეებისათვის, სოფლტექნიკის მუშაკებისათვის, მეცნიერებისათვის? პირველყოვლისა, — მტკიცე, გაბედული ნაბიჯები მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანის გზაზე, კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის ფართო მასშტაბებით დანერგვა, დარგის აღმავლობისათვის საყოველთაო-სახალხო ზრუნვა, კარგად მოფიქრებული, მეცნიერულ დონეზე შემუშავებული გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის შეუპოვარი, თანმიმდევრული მეცადინეობა.

თათბირ-სემინარისათვის მზადების პერიოდში ამუშავდა რესპუბლიკაში პირველი თელეთის, გორისა და გურჯაანის ფერმებას ტექნიკური მომსახურების სარაიონთაშორისო სადგურები, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს ნავთლუღის პურპროდუქტების კომბინატის კარბამიდის კონცენტრატის საწარმო, გურჯაანის რაიონის კომბინირებული საკვებისა და ბალახის ფხვნილის სამეურნეობათაშორისო საწარმოო გაერთიანება. მათი მუშაობის გამოცდილება ძვირფასია არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ საერთოდ, ჩვენი ქვეყნის მეცხოველეობის აღმავლობისათვის.

ვინ მოთვლის, რამდენი სასარგებლო გამოცდილება შეიძინეს თათბირ-სემინარის მონაწილეებმა გორის რაიონის მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკასა და თელეთის ექსპერიმენტული მეურნეობის მერძეველობის კომპლექსში (სადაც ყოველგვარი სამუშაო მექანიზებული და ავტომატიზებულია), კუმისის მებოცვრეობის სათაო მეურნეობასა და გურჯაანის რაიონის მეცხოველეობის გაერთიანების კომპლექსებში, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ალაზნის (სიღნაღის რაიონი) მეცხოველეობის საცდელ კომპლექსში, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ ცენტრალურ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კანტორასა და ამავე გაერთიანების დიღმისა და თელეთის ექსპერიმენტულ-მექანიკურ ქარხნებში.

თელეთის ექსპერიმენტული მეურნეობის მერძევეობის კომპლექსში 1 მწველავი 100 ფურს წველის, მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკაში 1 მეფრინველე პირველი ახაკის 7.000 ფრთა წიწილას უვლის. კუმისის მებოცვრეობის სათაო მეურნეობის გამოცდილების ფართოდ დანერგვით რესპუბლიკაში 1980 წელს ბოცვრის ხორცას წარმოება 8.000 ტონამდე გაიზრდება. აბა, როგორ შეიძლება თათბირ-სემინარის მონაწილეთა დიდი ინტერესი არ გამოეწვია ალაზნის საცდელი კომპლექსის ტექნოლოგიას, სადაც პირუტყვის შენახვა წლის ყოველ პერიოდში გათვალისწინებულია უბინაოდ — ღია ცის ქვეშ. წელიწადში 210 დღე პირუტყვი მთლიანად საძოვრულ პირობებშია, წელიწადში საშუალოდ გასუქდება 10.000 მოზარდი, სახელმწიფოს მიეყიდება 4.000 ტონა მაღალხარისხოვანი ხორცი.

და ყველგან, თათბირ-სემინარის საჩვენებელ ობიექტებზე, თუ სხდომებზე, რესპუბლიკაში მოგზაურობის დროს თუ ძვირფასი სტუმრების გაცილებისას, ყველგან საუბარი იყო გამოცდილების ურთიერთგაზიარებაზე, საქმის უკეთ წარმართვაზე, საერთო წარმატების მიღწევების გზებზე.

მეცხოველეობის გაძლოლის ტექნოლოგიის საკითხებზე თბილისში გამართული სრულიად საკავშირო თათბირ-სემინარი გამოცდილების შესწავლის ძვირფასი სკოლა იყო მისი ყველა მონაწილისათვის. თათბირ-სემინარის საჩვენებელი ობიექტების გამოცდილება განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენი რესპუბლიკის მეურნეობებისათვის. ახლა რესპუბლიკაში გაგვაჩნია როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე „სოფლტექნიკის“ სანიმუშო საწარმოები, ფერმები, კომპლექსები, საიდანაც შეიძლება ბევრი რამ კარგი ვისწავლოთ, რომელთა გამოცდილების წარმოებაში ფართოდ დანერგვა დიდად შეუწყობს ხელს მეცხოველეობის გაძლოლის ტექნოლოგიის შემდგომ გაუმჯობესებასა და სრულყოფას, დარგის კონცენტრაციასა და სპეციალიზაციას, იმ ამოცანების განხორციელებას, რომლებიც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ“.

მეცხოველეობის გაძლოლის ტექნოლოგიის საკითხებზე სრულიად საკავშირო თათბირ-სემინარი როგორც კი დამთავრდა, საჩვენებელი ობიექტების გამოცდილების წარმოებაში დანერგვის სამუშაოები დაიწყო. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან საჩვენებელი ობიექტების გამოცდილების ფართოდ დანერგვისათვის. ყველგან გაჩაღებულია მუშაობა დევიზით — ორიენტირი: თათბირ-სემინარის საჩვენებელი ობიექტები!

დავით ქათამაძე













# სეზონის ყვავილები

ეტიენ კარლუ მონპარნასის სასაფლაოს მთავარ ჭიშკართან გადმოვიდა ტაქსიდან; შემოდგომის ცეცხლით აგიზგიზებული, ხასხასა ყვითელი ქრიზანთემების თაიგული მოჰქონდა. სასაფლაოს დარაჯებს ჩაუარა. ერთი დარაჯი მიესალმა. ნირწამხდარმა, დამორცხვებულმა ეტიენმა მხოლოდ თავის დაქნევით უპასუხა.

— იცნობთ ამ კაცს, შეფ?

— ჰო, შორიდან... მასწავლებელია... სექტემბრის ბოლოს, მეშვიდე მწკრივში დაასაფლავა მეუღლე. ყოველ ხუთშაბათს მოდის... ხუთშაბათობით გაკვეთილები არა აქვს...

— ქვრივობისათვის ჯერ ძალიან ახალგაზრდაა... დიდხანს არ დარჩება მარტოხელა.

— ვინ იცის... ეს კაცზეა დამოკიდებული.

ეს შავებით შემოსილი, მოკლეწვერიანი კაცი, ხან ბავშვივით მკლავზე გადაწოლილი და ხანაც ზურგს უკან დამალული ქრიზანთემები რომ დარცხვენით მოჰქონდა, ვისაც უნდა ეკითხა, ყველას ეტყოდა, სიკვდილამდე, ყოველ ხუთშაბათს ვივლი ცოლის საფლავზეო. იმ ქვეყანაში ლუსილის მოულოდნელი წასვლა საშინელი უბედურება იყო. კაცის გონება ვერ შერიგებოდა მის სიკვდილს. მხოლოდ ხუთი წლის ცოლ-ქმრობა ჰქონდათ და, ამ ხნის მანძილზე ქალმა მთლიანად გარდაქმნა მეუღლე. ქორწინებამდე ეტიენი ცოტა მოსაწყენი პიროვნებაც კი ყოფილა (როგორც ქალები ამბობდნენ), თურმე დღენიადაგ სამუშაოზე ფიქრობდა, უყვარდა გაკვეთილების ჩატარება, წერდა სადოქტორო დისერტაციის თეზისებს და სხვა რამ თითქოს აღარაფერი აინტერესებდა.

ერთხელაც, მთაში ატარებდა არდადეგებს და სწორედ იქ შეხვდა ლუსილს. ქალიშვილს იშვიათი სილამაზის ოქროსფერი თმა, იისფერი თვალები, კოხტა თავი და მოუსვენარი მხრები ჰქონდა. ხუთი წელიწადი ეწაფებოდა ამ მომხიბლაობასა და სინაზეს ეტიენი, როცა ხელში აყვანილი, შიშველი ქალი ლოგინისაკენ მიჰყავდა, იგი ისე შემოსცქეროდა ქვემოდან, როგორც თვინიერი მსხვერპლი. კაცს ლეგენდიდან თუ ფერიათა სამყაროდან გამოცხადებული ეგონა ქალი. ქალს კი შექსპირისა თუ მიუსეს გმირებად ესახებოდა კაცი. არა, ლუსილი არ იყო არც ლეგენდებიდან და არც ფერიათა სამყაროდან მოსული. იგი ქალი იყო, — ნაზი, ღიმილიანი, ცვალებადი, მოქნილი, ქორფა და კეკლუცი. ზოგჯერ — გამომწვევი და გამაღიზიანებელი.

ახლა კაცი სხვას აღარაფერს იგონებდა, გარდა ქალის უბადლო მომხიბვლელობისა.

— ყველაფერი დავკარგე, აღარაფერი დამრჩა, — ფიქრობდა ცოლის საფლავისაკენ მიმავალი.

სამხრეთიდან მესამე, დასავლეთიდან მეორე... პირველ ხანებში ვერც კი იგნებდა გზას. ახლა კი პირდაპირ მიდიოდა ნაცრისფერი მარმარილოს ქვისაკენ, რომელზეც ეწერა: ლუსილ კარლუ, დაბადებული ობანში (1902-1928). ერთხანს ლათინური წარწერის — მეუღლეს, მეგობარს, — გაკეთებას აპირებდა, მაგრამ იფიქრა, ამას თვითონ ქალიც არ მოიწონებდაო.

ლუსილის საფლავამდე კაცს უნდა გაევლო მდიდართა აკლდამების იდიოტური ქანდაკებები, ერთნი გოთური სტილისა, სხვანი — ეგვიპტური, ვერავინ მიხვდებოდა ვის ეკუთვნოდა ეს საფლავები, ფოლადის მაგნატსა თუ სანელებლით მოვაჭრეს.

კაცს მოსწონდა ცოლისადმი მიძღვნილი უკანასკნელი საჩუქარი, — სწორი, უორნამენტო მარმარილოს ფილა, რომელიც დიდი სიყვარულით შეარჩია.

უკანასკნელი?

არა. რატომ უკანასკნელი? კაცს ხომ ყოველ ხუთშაბათს მოჰქონდა ყვავილები. ახლაც ეს ქრიზანთემები! როგორ მოსწონდა ქალს ყვავილთა აფეთქებული ფერები! ნუთუ იგი ამ საფლავში წევს? ნუთუ ჩვეულებრივად არ მოესმება ცოლის ხმა:

— კიდევ მომიტანე ყვავილები? რა თავაზიანობაა!

კაცს ახსენდებოდა, რა დაუჯერებლად ჩაესმა ლუსილის გულთან დახრილი ექიმის ჩურჩული: „გათავდა“... როგორ შეეძლო მეუღლის ეულად დატოვება? როგორ არ ჰგავდა ეს მუდამ იმედიანი, თავაზიანი და ყურადღებიანი ლუსილის საქციელს.

გულდახურულმა დააწყო საფლავზე ყვავილები; იქვე გაჩერდა ჩაფიქრებული, აგონდებოდა ბედნიერების დღეები: ქორწინება, საქორწინო მოგზაურობა, სიყვარულის გრძელი ღამეები, ოჯახური მყუდროება. როცა საწერი მაგიდიდან თავს აიღებდა, მისი მზერა აწყდებოდა ქალის იდუმალ ღიმილს. შემდეგ აძაღელვებელი მოლოდინი მემკვიდრისა. ყველაფრით კმაყოფილნი იყვნენ, ბინის მოწყობილობა იქნებოდა თუ ახალი სპექტაკლი, ახლა კი... ახლა აღარც ცოლი ჰყავს და აღარც შვილი.

— საბრალო ლუსილი: უკანასკნელ სიტყვებსაც კი ჩემს დასამშვიდებლად ამბობდა, მაგრამ სიტყვა ბაგეზე შეაცივდა.

ზამთარში, ყოველ ხუთშაბათობით მოდიოდა სასაფლაოზე. სულ სხვადასხვანაირი ყვავილები მოჰქონდა, ისეთი ყვავილები, გაძვლელგამომვლელებსაც რომ მოსწონებოდათ. საახალწლოდ პატარა ნაძვისხეც გაახსენდა. სასაფლაო დეკასა და მანანას მწვანე შტოებით შეამკო. არჩევდა ყვავილებს. ცვლიდა მწვანე შტოებს. მარტის ერთ დღეს იებისა და ფურისულების კონები მოიტანა. ცა უკვე მოწმენდილი იყო და მარმარილოზე მზის თბილი ათინათი თრთოდა. ეს სითბო საამოდ ჩაეღვარა სულში, მაგრამ მაშინვე უსაყვედურა თავისთავს და როგორც ყოველთვის, ახლაც ფიქრს მიეცა: „შენ გაზაფხული გიყვარდა. ის პირველი დღე, როცა უპალტოოდ გამოდიოდი ქუჩაში, კაბის საყელოს კი ყვავილი გიმშვენებდა. ყოველ გაზაფხულს ყვავილივით იყავი, ეხ, ვეღარასოდეს გნახავ, ჩემო ქალღმერთო...“

ამ დროს ეტიენმა მოიხედა. სასაფლაოს ხეივანში ახალგაზრდა, შაოსანი ქალი მოდიოდა. ქალი მახლობელ საფლავთან შეჩერდა, ნაზად დააწყო თავთავების კონა და იქვე ჩაიჩოქა.

ქალის სახეს ქუდი ფარავდა. ეტიენს სახის დანახვა სურდა და ჩუმად უთვალთვალებდა. ქალი ადგა. კაცმა დაინახა, რომ ტიროდა. სახე ნაზი და ნაღვლიანი ჰქონდა. შავი თმების ქვემოთ მაღალი შუბლი მოუჩანდა. მოსასხამი და გრძელი ქვედატანი ხაზს უსვამდა მის წვრილსა და მოქნილ ტანს. ქალს არსაით გაუხედავს, ისე გაშორდა საფლავს, წყნარად გაუყვა გზას და დიდ ხეივანში მიიმალა. როცა ფეხის ხმა მიწყდა, ეტიენი იმ საფლავთან მივიდა, რომელთანაც ახალგაზრდა ქალმა ჩაიჩოქა. წაიკითხა: ანტუან კონსტან, 1891-1928. მაშ, ეს არც მამაა და არც შვილი, ქმარს დასტიროდა!

მერე გაიფიქრა: შეიძლება საყვარელსაც!

ეს კი თვითონაც არ დაიჯერა.

შემდეგ ხუთშაბათს — არც კი უფიქრია ქალს თუ შეხვდებოდა — ზუსტად იმავ დროს მივიდა სასაფლაოზე. ქალი არ გამოჩენილა. კაცი დიდხანს ელოდებოდა. ჩვეულებრივზე უფრო სამწუხარო ფიქრები ერეოდა გონებაში და გულს იოხებდა: მის ცხოვრებას სიცარიელე ღრღნიდა. ადრეც არ ჰყავდათ გულითადი მეგობრები. მშობლებიდანაც თავი შორს ეჭირათ, რომ ზედმეტად არ ჩაერიათ თავიანთ პირად ცხოვრებაში. თავიანთი ცხოვრება კი ცოლ-ქმარს სავსებით აკმაყოფილებდა.

„რამოდენა განსხვავებაა — ფიქრობდა იგი, — მაშინდელსა და დღევანდელ ყოფას შორის. რა მოსაწყენია მარტოდმარტო სადილობა, მერე სავარძელში ჩაჯდომა, საღამოს გაზეთების თვალიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება, ამაო დაინტერესება რაღაცა წიგნით და საათობით ძოლოდინი ძილისა... ან, დაგეძინება კი?

ეხ, მაშინ რა გატაცებით მუშაობდა! ცოლს თავის აზრებს უზიარებდა და მის აზრსაც ისმენდა, — ყოველთვის თანამგრძნობსა და ჭკვიანურს, მერე დაძინების დროც მოაწევდა და საძინებელ ოთახში შედიოდნენ. რა მომხიბლავი იყო მაშინ, ღამის პერანგში გახვეული, თმაგაშლილი ლუსილი. და განა შეიძლება უარის თქმა იმაზე, რაც ამ ქვეყნად ყველაზე უფრო სასიამოვნოა?

ალარასოდეს! რა ადვილი სათქმელია — ალარასოდეს არ მოგეფეროს!..

ხელმეორე დაქორწინებაზე, ან საყვარლის გაჩენაზე ფიქრიც კი მკრეხელობად მიაჩნდა. როგორ უნდა გაემეორებინა სხვებისთვის იგივე სიტყვები, ლუსილს რომ ეუბნებოდა? როგორ შეეტანა სხვისი ნივთები იმ ბინაში, რომელიც ლუსილს ეკუთვნოდა და მის ხსოვნას ინახავდა? ავეჯზე ლუსილის სურათები ეწყო და კარადებშიც ლუსილის კაბები იმავე ადგილზე ეკიდა, სადაც თვითონ დაჰკიდა. მადამ ობანმა, ლუსილის პროვანსელმა დედინაცვალმა, ეტიენს ურჩია, გარდაცვლილის ნივთები საქველმოქმედო საზოგადოებისათვის შეეწირა.

— დიახ... სხვა რა გზაა, რაში უნდა გამოიყენოთ, ჩემო საბრალო მეგობარო... მისი ნივთები მხოლოდ და მხოლოდ მწუხარებას მოგგვრით.

საძაგლობად და დანაშაულად მოეჩვენა ამის ჩადენა.

მახლობლად დედაბერმა ჩაიარა, წყლით სავსე თუნუქის ჭურჭელი მიჰქონდა, ალბათ ყვავილების მოსარწყავად.

მზეს ღრუბლები გადაეფარა.

ეტიენს გააჟრჟოლა. ერთხელ კიდევ გადახედა საფლავის ნაცრისფერ მარმარილოს და წავიდა. უნებურად ანტუან კონსტანის საფლავისაკენ გადაუხვია. ზამბახების ჯერაც ცოცხალი თაიგული ამკობდა საფლავს. მაშ, უცნობი ქალი ყოფილა გუშინ, შეიძლება ამ დილითაც...

ეტიენს არც მომდევნო ხუთშაბათს მოუკრავს უცნობი ქალისათვის თვალი, არც შემდეგ ხუთშაბათს. მესამე ხუთშაბათს ქალი უკვე სასაფლაოზე დახვდა. კაცმა იგრძნო, რომ ქალმა ხელდახელ მალულად შეათვალიერა ეტიენის მოტანილი წითელი და ყვითელი ტიტები.

კაცი გამოერკვა და გაიფიქრა:

„არა, ეს მწუხარება არ არის... მაგრამ შენ ტიტები გიყვარდა. შეტყოდი ხოლმე: გეყოფა, თავი აიღე, თვალი გაახილე მკაცრო მოხელევ... ეხ! მე კი მხოლოდ იმისთვის მინდოდა თავის აღება, რომ შენი სურნელება შემეგრძნო“.

ცოტა ხნის შემდეგ შაოსანი ქალისაკენ გაიხედა და მისი ყვავილები თავადაც ერთი თვალის გადავლებით შეაფასა. დღეს ქალსაც ღია ფერის ყვავილები შეერჩია, ოღონდ ტიტები კი არა, მიხაკები.

ამის შემდეგ ყოველ ხუთშაბათობით ხედავდა ქალს. ქალიც ხან ადრე მოდიოდა, ხან გვიან, მაგრამ ყოველთვის ხუთშაბათ დღეს ირჩევდა.

„შეუძლებელია, მე ვიყო მიზეზი“, — ფიქრობდა ეტიენი. მაგრამ ქალის მოსვლას ყოველთვის ბუნდოვანი აღელვებით ელოდა. ორივენი დიდი გულმოდგინებით არჩევდნენ ყვავილებს. შემდეგ კი გულწრფელად უთვალთვალებდნენ ერთმანეთს, რომელმა უფრო უკეთესი ყვავილები მოვიტანეთო. მათ შორის ერთგვარმა ქიშპობამ იჩინა თავი. მიცვალებულები კი ამით მხოლოდ მოგებულნი რჩებოდნენ: საფლავებზე სულ უფრო ლამაზი და ლამაზი ყვავილები ჩნდებოდა.

ერთდროულად მოიტანეს პირველი ვარდები, ქალმა — წითელი, ეტიენმა კი ჩაისა. ამათ მოჰყვა ნაირფერი გლადიოლუსები.

კაცი ელოდებოდა ხოლმე ქალის წასვლას, არ იფიქროს, გამოლაპარაკება სურს და ამედევნაო. ქალიც არ იჩენდა გამოლაპარაკების აშკარა სურვილს და ჩქარი ნაბიჯებით, უკან მოუხედავად მიდიოდა.

მაისის ერთ დღეს, როცა ეტიენმა მდიდართა აკლდამები ჩაათავა და ლუსილის საფლავისაკენ გაუყვა, ხმაური შემოესმა. სასაფლაოს ნაცნობ დარაჯს ის დედაბერი მოჰყავდა, წყალს რომ ეზიდებოდა ხოლმე თუნუქის ჭურჭლით. დედაბერი თავის განთავისუფლებას ცდილობდა. სასაფლაოს დარაჯს შაოსანი ახალგაზრდა ქალიც მოჰყვებოდა. როგორც კი ეტიენი დაინახა, დარაჯმა დაიძახა:

— აი, მუსიე, თქვენც ნახეთ.

ეტიენი მივიდა.

— რა მოხდა?

— ის მოხდა, რომ ეს დედაბერი ყვავილებს იპარავდა და დავიჭირე... ასე არ არის, მადამ?... მან ხომ თქვენი ყვავილები ძოიპარა და თქვენიც, მუსიე... რამდენიმე კვირაა რაც ვუთვალთვალებ, ბოლოს მაინც წავასწარი და დავიჭირე...

ახალგაზრდა შაოსანი ქალი შეძრწუნებული იყურებოდა.

— გაუშვით, — თქვა მან, — დამჭკნარ ყვავილებს რა მნიშვნელობა აქვს. სწორედ მათ გამოსაცვლელად ვარ მოსული.

— დამჭკნარიო — შესძახა დარაჯმა. — როგორ გეკადრებათ... ცოცხალ ყვავილებს არჩევს... წამობრძანდით და ნახეთ, როგორ მორთო მერვე მწკრივში ასმეშვიდე საფლავი. ქილაში შროშანები ჩაუწყვია და არც ძვირი არ დაჯდომია. დამერწმუნეთ, სადაც ნებავდა, იქ აიღებდა.

— მერედა, რა არის ამაში ცუდი? — იკითხა ახალგაზრდა ქალმა. — გასაყიდად ხომ არ აულია?

— რატომ იქურდეთ? — იკითხა ეტიენმა და მოწყალედ გადახედა თავდახრილ დედაბერს, რომელიც მდაბიოს არ ჰგავდა.

— რატომ იქურდეთ? — გაუმეორა ეტიენმა — ყვავილების ფული არა გაქვთ, არა?

დედაბერმა თავი ასწია.

— დიახ... სხვა რა მექნა?.. თქვენ, მადამ თქვენ რას იზამდით, შვილის საფლავი რომ გეგულებოდეთ აქ... ქმარი კი ძუნწი გყავდეთ, ერთი ღერი შროშანი ან ერთი კონა იაც რომ ენანება?... ჰა? რას იზამდით მეთქი?

— მეც ისევე მოვიქცეოდი, როგორც თქვენ — გაბედულად თქვა შაოსანმა ქალმა.

— მაგრამ მე ასე მაქვს ნაბრძანები. — ჩაიდუდუნა დარაჯმა, დედაბერს ხელი გაუშვა, ქუდი მოიხადა და ეტიენს მიუბრუნდა:

— მუსიე... არმიაში გიმსახურიათ ალბათ... იქ ბრძანება ბრძანებაა... სხვებზე მკაცრი როდი გახლავართ, მაგრამ სამსახური სამსახურია...

— მე და ქალბატონი არ ვჩივით — უთხრა ეტიენმა — აქ ყოველ ხუთშაბათობით დავდივართ, ახალ-ახალი ყვავილები ძოგვაქვს, თუმცა ძველი დაჭკნობას ვერც კი ასწრებს. თუ წინა კვირაში არავის უჩივლია, მით უკეთესი, გაუშვით მოხუცი.

— კეთილი... კეთილი, — თქვა დარაჯმა, — თუ თქვენ სამდურავს არ გამოთქვამთ, ყველაფერი რიგზეა...

შემდეგ დამნაშავეს მიუბრუნდა და უთხრა:

— შეგიძლიათ წახვიდეთ.

ეტიენმა დედაბერს წვრილი ფული მისცა. ახალგაზრდა ქალმაც დაუმატა ცოტა რაღაც. შემდეგ, როგორც ყოველთვის, ეტიენი ჩაფიქრებული გაემართა ლუსილის საფლავისაკენ. მაგრამ მომხდარ ამბავს ისე აეღელვებინა, ჩვეულებრივ, ოჯახურ მოგონებებს ვეღარ გაჰყვა.

როცა შაოსანი ქალი სახლში მიდიოდა, ეტიენი ძალაუნებური სითამამით აედევნა.

— გმადლობთ, — უთხრა ქალმა, — წეღან კარგ დროს მოგვისწარით. ამგვარ საქმეში კაცის ჩარევა უკეთესია.

— საწყალი დედაბერი! ჩვენ ხომ კარგად გვესმის, რა დიდი ბედნიერებაა საყვარელ ადამიანს რაიმე გაუკეთო.

— დიახ, — თქვა ქალმა... — აკეთებენ მიცვალებულთათვის და თავიანთვისაც...

— რომ ცოცხლად შეინახონ მათი ხსოვნა.

ქალმა ეტიენს გაკვირვებითა და მადლიერებით შეხედა.

— თქვენც, თურმე, ჩემნაირად განიცდით... თუმცა ეს დიდი ხანია შევამჩნიე... რა სინაზით არჩევთ ყვავილებს... ძალიან გიყვარდათ თქვენი მეუღლე, მუსიე კარლუ?

— თქვენ ჩემი გვარი იცით?

— ერთ დღეს, როცა არ იყავით, საფლავის ქვაზე ამოვიკითხე... 27 წლისა გარდაცვლილა... საშინელებაა...

— საშინელება! ისეთი მშვენიერი იყო... ლამაზი, წყნარი, გონიერი.

— როგორც ჩემი ქმარი... მთელს დედამიწაზე საუკეთესო ქმარი დავკარგე... არ მეგულება სხვა ცოლი, ქმარი რომ ჩემნაირი სინაზით ჰყვარებოდა. ან ისეთი კეთილი ყოფილიყო, როგორიც მე ვიყავი... ზედმეტად კეთილიც კი... ანტუანიც ყველაფერს აკეთებდა ჩემთვის... მისმა სიკვდილმა მთლად გამანადგურა.

— ახალგაზრდა გარდაცვლილა! გამოგიტყდებით, ცნობისმოყვარეობამ და თანაგრძნობამ გამაბედვინა, საფლავის წარწერა წავიკითხე: 1891-1928. რითი გარდაიცვალა?

— ავარიაში მოჰყვა... ცოცხალმკვდარი მომიყვანეს ერთ საღამოს... გათენებისას კი სამუდამოდ მიმატოვა. დირექტორობას ჰპირდებოდნენ უკვე სამსახურში.

— ჩინოვნიკი იყო?

— არა... დიდ ქიმიურ ქარხანაში მუშაობდა. 37 წლისა უკვე მესამე კაცად ითვლებოდა. მალე, ალბათ, გენერალური დირექტორიც გახდებოდა.

— შვილები გყავთ?

— ამ მხრივაც უნუგეშოდ გახლავართ.

სასაფლაოს მთავარ ჭიშკართან, უფროსი დარაჯი, ცოტა არ იყოს დამცინავად გამოემშვიდობა მათ.

— ნახე! — უთხრა თანაშემწეს, როცა ქალი და კაცი ჭიშკარს გასცდნენ — ერთად მიდიან.. ასე ურჩევნიათ... რაღა თქმა უნდა...

შემდეგ ხუთშაბათს, თითქოს სამუდამოდ შეთანხმებულანო, საფლავები მოინახულეს თუ არა, ხეივანი ისევ ერთად გაიარეს. ეტიენი თავის ცხოვრებაზე მოუთხრობდა: პარიზის ერთ დიდ ლიცეუმში დაწყებით კლასებს ვასწავლიო. ცოტას ვწერ კიდეცო. ერთმა ჟურნალმა კრიტიკული წერილები შემიკვეთაო.

— როცა მეუღლე გარდამეცვალა, პიესა მქონდა დაწყებული. ახლა კი ძალა აღარ მყოფნის, რომ გავაგრძელო.

— უნდა გააგრძელოთ. — უთხრა ქალმა—ეს თქვენს მეუღლესაც გაახარებდა.

კაცი აღფრთოვანდა:

— ოო, უეჭველად! ის ხომ მუდამ მამხნევებდა, გზის გაკვალვაში მეხმარებოდა.

მადამ კონსტანმა თქვა, მეც მიყვარს თეატრიო. საკმაოდ გულმოდგინედ ვსწავლობდიო ლიტერატურას, ორი გამოცდა მქონდა ჩაბარებულიო ბაკალავრის ხარისხზე, ინგლისური ენის სწავლების ნებართვაც მივიღეო.

—კარგია! მაგრამ ეს საქმიანი საზოგადოება თავს არ გაბეზრებდათ?

— ო, არა, ვიდრე ანტუანი ცოცხალი იყო, მისი სიამოვნებისათვის, ღმერთმა იცის, ვის აღარ ვიღებდი.. მე კი მერჩივნა შეხვედრები მწერლებთან, მსახიობებთან... მაგრამ მისი გულისთვის...

ეტიენი დაინტერესდა, სენტ ბევის ან ბოდლერის საფლავები თუ გინახავთო. ქალს არ ენახა. კაცმა შესთავაზა იქით წასვლა. ქალს არ მოეწონა საფლავები, საზიზღრობააო.

— არა, — თქვა ეტიენმა — ეს საფლავები ეპოქის სახეა.

დიდხანს მისეირნობდნენ ერთად, აღგზნებულნი ლაპარაკობდნენ და ვერც შეამჩნიეს ცა როგორ მოიღრუბლა. არც შორეული ქუხილი გაუგიათ. სასაფლაოს ჭიშკართან რომ მივიდნენ, წვიმის მსხვილი წვეთები წამოვიდა.

— ტაქსში უნდა ჩავჯდე, — უთხრა ქალმა — აქვე ტაქსების გაჩერებაა.

— მეც მოგბაძავთ. ეს წვიმა კი არა, წარღვნაა.

ჩქარობდნენ. თითქმის გარბოდნენ. დასველდნენ. გაჩერებაზე მხოლოდ ერთი ტაქსი იდგა.

— ჩქარა ჩაჯექით. — თქვა კაცმა.

— თქვენ?

— მე მეორეს დაველოდები.

— ამ წარღვნაში? არც კი იფიქროთ, როგორ შემიძლია თქვენი ასე დატოვება...

— საით მიდიხართ?

— სახლში, — თქვა ქალმა — მოცარტის ავენიუზე.

— ო, რა იღბალია, მეც იქვე ვცხოვრობ, პომპეუსის ქუჩაზე. მაშ, ჯერ თქვენ მიგიყვანთ.

ორივენი დიდსულოვნებაში გაეჯიბრნენ. ბოლოს ქალმა დაუთმო და მძღოლს მისამართი უთხრა. ტაქსში დაიმორცხვეს და ხმის ამოუღებლად კარებებისაკენ მიიკუჭნენ. კაცს გაახსენდა ის საღამო, ლიცეუმის მასწავლებელ ქალს რომ აცილებდა და ლუსილი შეხვდა. როგორ გაჯავრდა მაშინ ლუსილი!

„რომ არ დამენახე, ხომ არც მეტყოდი, ქალთან რომ დასეირნობ".

მაშინ ეტიენმა უპასუხა: „რას ამბობ... შეუძლოდ იყო და ხელი მომკიდა. ხომ ვერ მივატოვებდი?.. თუმცა, ის შენზე ოცი წლით უფროსია".

— ამით რას მიმტკიცებ? იმას ხომ არა, რომ ჯერ ისევ კოხტად გამოიყურება?"

„ახლა რას იტყოდი? — ფიქრებში ეკითხებოდა ლუსილს. ამ დროს ტაქსმა მონპარნასის სადგურს ჩაუარა. — რას იტყოდი, თუ დამინახავდი, ტაქსში, ამ ახალგაზრდა, ლამაზ ქალთან ერთად..." და დაუმატა „ასე მგონია, შენა ხარ ჩემთან ერთად, შენი მიმზიდველი მკერდით... ოხ! როგორ მრცხვენია, რომ არ შემიძლია გაგაცოცხლო!... როგორ მინდიხარ". და ამ ფიქრთან ერთად ამოიოხრა.

შაოსანმა თანამგზავრმა ნაღვლიანი თანაგრძნობით შეხედა.

— უბედური ხართ, — თქვა მან, — ორივენი უბედურები ვართ.

— მარტო ცხოვრობთ? — ჰკითხა კაცმა.

— დიახ.. მოხუცი მსახური მყავს, ამელი ჰქვია.. სასიამოვნო ქალია, ჩემი ქმრის გადია იყო, ოჯახში ყველაფერს ის განაგებს... თქვენ?

— მეც მარტოხელა ვარ. მოსამსახურე ქალი დილაობით მოდის, ხუთ საათზე კი მიდის და მიტოვებს გაცივებულ სადილს.

კაცს ლაპარაკი სურდა, მაგრამ ქალის სხეულის სიახლოვე ხელს უშლიდა ჭეშმარიტი გრძნობებისა და განცდების გამომჟღავნებაში.

მზემ გამოანათა და ინვალიდების სახლის მოოქროვილი გუმბათი აბრჭყვიალა.

— რა მშვენიერია! — თქვა კაცმა — ნუთუ თქვენც ისეთივე განცდა გაქვთ, როგორიც მე, რაღაც გაურკვეველი ღვარძლიანობისა, როცა ვხედავ, ხალხი როგორ მიდი-მოდის, აქეთ-იქით, ისინი კი...

ქალმა ჟინიანად უპასუხა:

— ვერ ვიტყვი, მაგრამ, რაღაც ამგვარს, მგონი, მეცა ვგრძნობ.

კაცმა ჰკითხა, სასაფლაოზე ყოველთვის ტაქსით მოდიხართო?

— დიახ, ყვავილების გამო. როცა მეუღლე ცოცხალი იყო, ავტომანქანა გვქონდა, თვითონ მართავდა.

— მეც ტაქსით მოვდივარ, იგივე მიზეზით... ყვავილები...

ეტიენი დიდხანს ყოყმანობდა, ბოლოს ხმადაბლა და მორცხვად უთხრა:

— შეიძლება... შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ, რადგან ერთი გზა გვაქვს და სასაფლაოზეც ერთსა და იმავე დღეს დავდივართ, ხომ არ შეიძლებოდა ერთი ტაქსი გვექირავა? მე გამოგივლიდით სახლში.

— თავაზიანი ხართ... მაგრამ, ამელი? ღმერთმა იცის, რას არ იფიქრებს.

— მაშინ, თქვენ დაიკავეთ ტაქსი და გამომიარეთ. მე კი სახლის წინ დაგელოდებით.

— ასე უკეთესი იქნება. მაგრამ... ისინი?.. ისინი თუ მოგვიწონებენ.

— რატომაც არა? ჩვენ ხომ ერთ საქმეს ვაკეთებთ, მათდამი თანაგრძნობითა და სიყვარულით...

— დამაცადეთ, მოვიფიქრო. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, იმაზე არამც და არამც არ დაგთანხმდებით, რომ ტაქსის ფული ყოველთვის თქვენ იხადოთ.

— ეს უკვე ძნელი აღარ არის, გავინაწილებთ დანახარჯს, თუ ნებას მომცემთ.

— ვნახოთ, — თქვა ქალმა — აი, მოვედი კიდეც.

ქალმა თათმანი გაიხადა და ქათქათა, გრძელთითებიანი ხელი გაუწოდა. თითზე ბეჭედი ეკეთა.

შემდგომ ხუთშაბათს ცალ-ცალკე მივიდნენ სასაფლაოზე, წამოსვლისას კი ერთად წამოვიდნენ და ერთი ტაქსი იქირავეს. გზაში ქალმა თქვა: თქვენს თავაზიან წინადადებაზე ბევრი ვიფიქრე, მგონი შემიძლია დაგეთანხმოთ, ნამდვილად სისულელეა, ყოველ კვირა ორი ტაქსის ფული ვიხადოთ. თანაც თქვენი სიახლოვე მსიამოვნებს, მომავალ ხუთშაბათს გამოგივლითო.

შემდეგ უკვე ჩვეულებად გადაიქცა: ქალი მანქანით მოდიოდა პომპეუსის ქუჩაზე და მუხლებზე ყვავილები ეწყო. კაციც ჰიშკართან ელოდებოდა და ხელში ყვავილები ეჭირა. ტაქსი ჩერდებოდა. ეტიენი მანქანაში ჯდებოდა.

გადაწყვიტეს, დარაჯების თვალს მოფარებოდნენ და სასაფლაოს ჰიშკართან ერთად არ მისულიყვნენ. კუთხესთან ჩამოვიდოდნენ, ერთი წინაურდებოდა, მეორე შორიახლოს მიჰყვებოდა, ორივეს კი სახეზე ეწერა: ახლავე, ახლავე დაგეწევიო.

მას შემდეგ, რაც ერთად დაიწყეს სიარული, კარგა ხანი გავიდა. ახლა უკვე ათას რამეზე ლაპარაკობდნენ, და მაინც საუბრის მთავარი თემა ყვავილები იყო. ორივეს უყვარდა გაზაფხული, მინდვრის ყვავილები, სოფლური თაიგულები, რომელშიც შვრია და ღიღილოა შერეული. ერთად კრავდნენ თაიგულებს, რა თქმა უნდა, საწყალი მიცვალებულებისათვის, მაგრამ არც ერთმანეთს ივიწყებდნენ.

ეტიენი, რომლის საქმიანობასაც ლიტერატურა წარმოადგენდა და ბევრიც წაეკითხა, ქალის განათლებას ხელმძღვანელობდა, ურჩევდა და აძლევდა წიგნებს. როცა ქალი წიგნს დააბრუნებდა, ახლა წაკითხულზე კამათობდნენ.

ქალი აშკარად ლუსილზე გულმოდგინე ჩანდა. რაკი ეს იგრძნო, ეტიენი უფრო მეტად დაუახლოვდა.

მთელი ზაფხული არ გასულან პარიზიდან, მარტო რამდენიმე დღით ეწვივნენ პროვინციაში თავიანთ მშობლებს და მაშინაც ერთმანეთს შეუთანხმდნენ.

ლუსილის გარდაცვალების წლისთავი ივლისში სრულდებოდა. ეტიენმა ეკლესიაში თვალი მოჰკრა უკანა რიგში მოკრძალებით მჯდარ გაბრიელა კონსტანის. მან უკვე იცოდა ქალის სახელი.

— მეც არ მომწონს, — თქვა ქალმა — მაგრამ, რას ვიზამთ, ამგვარია ადათი.

აგვისტოს პაპანაქებაში ქალმა თავს ნება მისცა და თეთრით გაწყობილი შავი კაბა ჩაიცვა.

— ანტუანს არ უყვარდა შავები, — თქვა თავის გასამართლებლად.

ერთ საღამოს ეტიენმა ქალი ქალაქგარეთ, სადილად მიიპატიჟა. პატარა მაგიდასთან, ჩრდილში ისხდნენ და მშვიდად საუბრობდნენ.

— ანტუანს ბუას პარკში უყვარდა სადილობა. მართლაც რომ მომხიბლავია ერთმანეთში გადაჭდობილი პარიზი და ტყე... ხშირად, სამსახურიდან დაბრუნებული ანაზდეულად მეტყოდა, წავიდეთ ბუას პარკშიო... საუკეთესო ქმარი იყო, — ამბობდა ქალი.

— ამგვარი რამის გაკეთება თქვენნაირ ქალთან არ იქნებოდა ძნელი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ღმერთს ყველაფერი მოუცია: სილამაზე, გონება, დიდებული ხასიათი...

—ნუ გადააჭარბებთ. კარგად არ მიცნობთ. ზოგჯერ საშინელ სცენებს ვუწყობდი საწყალ ანტუანს.

— მართლა? ვერ წარმომიდგენია.

ქალმა გაიცინა, მერე მწუხარების ჩრდილი გადაეფარა და გააგრძელა:

— კი! საბრალო ანტუანი... ავადმყოფურად ეჭვიანი იყო... მეც ზოგჯერ მიყვარდა ცეცხლთან თამაში... მეუღლე ბრაზობდა, მე ვეკინკლავებოდი. ახლა ვნანობ ჩემს გულფიცხობას. თუმცა ხშირად ის უფრო იყო დამნაშავე.

უცებ ქალმა დარცხვენით გამოხედა ეტიენს. ამ გამოხედვაში პატიებაც იკითხებოდა და სიყვარულიც.

— ღმერთო ჩემო, რას ვლაყბობ? დაივიწყეთ... ამ მომხიბლავი საღამოს ბრალია. რა იქნებოდა, რომ ერთ ასეთ საღამოს ანტუანიც იყოს ჩემს გვერდით — სასოწარკვეთით დაუმატა ქალმა.

ცრემლები ჩამოუგორდა, შებრუნდა და თვალები ამოიწმინდა.

— ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ, მთლად ახალგაზრდა და ჩემი ცხოვრება უკვე დამთავრდა... ყველაზე უბედური ქალი ვარ დედამიწის ზურგზე.

კაცმა ხელი ხელზე დაადო და უთხრა:

— არა, მართალი არა ხართ, ყველაფერი არ დამთავრებულა... ცხოვრება ასეთი არ არის... წელიწადის დრონი კვლავ მეორდებიან. თავისი ნაირფერი ყვავილებით... მოეშვით ამ აკვიატებულ აზრს, რომელიც არც სასარგებლოა და არც ჭკვიანური... ეს უარყოფაა ადამიანის მაღალი დანიშნულებისა... ისინი წავიდნენ და ჩვენ დაგვიტოვეს სიცოცხლის უფლება, ჩვენი სიკვდილი მათ არაფერს არგებს. ისინი სასოწარკვეთილებაში კი არ გვაგდებენ, მხნეობას გვმატებენ... ორივემ გამოვცადეთ ქორწინების სიტკბოება და, საბედნიეროდ ვიცით, რომ ამ ქვეყნად ჰარმონიული ცოლ-ქმრობა შესაძლებელია... არ გჯერათ?

ქალს ხელი არ გაუწევია, ისე შეხედა, მოლოდინით აღსავსე, ცრემლიანი თვალებით და თავი დახარა.

— არ მჯერა. მწუხარებას მხოლოდ უბედურება იწვევს. უბედურება რომ არ იყოს, მაშინ საერთოდ მწუხარებაც არ იქნებოდა... მაგრამ გეფიცებით, მხნეობას მოვიკრებ.

— მეც! — თქვა კაცმა მკაცრად — მწუხარებას სიყვარულიც — იწვევს.

რესტორნის პატრონი მიეახლათ, რომელი ხილი მოგართვათო, დაინტერესდა. ქალმა შაქარმოყრილი მარწყვი შეუკვეთა.

მეორე დღეს, კვლავ ქალმა გამოუარა. მთელი გზა უხერხულად გრძნობდნენ თავს. მათი იდუმალი ფიქრი ჩვეულებრივზე უფრო მეტად დასტრიალებდა მიცვალებულთა საფლავებს. აქეთობისას დამტვრეული საფლავების ქვების გროვასთან ჩამოიარეს. ქალმა წარწერის ნაგლეჯს ჰკიდა თვალი და გაჩერდა: „ვგლოვობ გულ... ჩემს ძვირფას ქმა..."

— ეს უპატრონოთა საფლავის ქვებია. — თქვა კაცმა—როცა პატრონი აღარ დადის, საფლავი ინგრევა, რამდენიმე ხნის შემდეგ კი ადგილს ათავისუფლებენ.

— ეტიენ, — (პირველად დაუძახა ქალმა სახელი).—რა სამწუხაროა! მიცვალებულნი, რომელთაც აღარავინ ჰყავთ, რომელთა ხსოვნასაც აღარავინ ინახავს, ალბათ სამუდამოდ კვდებიან.

კაცმა მკლავში მოჰკიდა ხელი და შემოაბრუნა.

ტაქსში კი უკვე იმ წიგნზე ლაპარაკობდნენ, კაცს რომ უნდა ეთხოვებინა. სახლთან რომ გაჩერდნენ, ეტიენმა ქალს სთხოვა, წიგნის საძებრად შემომყეო. ამდენი ხნის ნაცნობობა ჰქონდათ და ქალი პირველად შეჰყვა ოჯახში. ყველგან ლუსილის ფოტოსურათები იყო, მაგიდაზე, კედლებზე...

— გრძნობ? — თქვა კაცმა — შენმა შემოსვლამ ეს მკვდარი ბინა გამოაცოცხლა.

ქალი გრძნობდა, რომ კაცი ხელის თხოვას აპირებდა, მაგრამ არ უნდოდა, ეს იმ ოთახში მომხდარიყო, რომელიც სხვას ეკუთვნოდა.

— რას აკეთებთ ამ საღამოს? — ჰკითხა ქალმა.

— არაფერს. გნებავთ ერთად ვისადილოთ?

ქალი დაეთანხმა და ხელი გაუწოდა. კაცი ემთხვია და ბინიდან გავიდნენ.

სახლში მისვლამდე ქალი ქუჩაში დაეხეტებოდა, გაოგნებული, დაბნეული, მაგრამ ბედნიერი.

— ალბათ, არც ანტუანი ისურვებდა, ჩემს ასაკში რომ უარი მეთქვა სიყვარულზე... ის კი არადა, თვითონვე მირჩევდა, ხელახლა დაქორწინდიო. ნეტავი მე რომ მოვმკვდარიყავი, თვითონ როგორ მოიქცეოდა...

ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ქალს მგლოვიარობა, ეს ძაძები და ეს ხანმოკლე ქვრივობა აშინებდა. ეუწყებინა მეგობრებისა და ოჯახისათვის თავისი გადაწყვეტილება. რას იტყვის ამელი? რაღა თქმა უნდა, არ მოეწონება. მაგრამ ვინ ცხოვრობს მხოლოდ სხვათათვის? ქორწინება უბრალოდ და უხმაუროდ უნდა ჩატარდეს. აუცილებელი ცერემონიები უნდა შემოკლდეს...

და უკვე წარმოიდგინა როგორი კაბა ეცმებოდა იმ დღეს: ნაცრისფერი, თეთრი, გახამებული საყელოთი, მოთეთრო ქამრით, რომელიც ჰარმონიულად იქნებოდა შეხამებული კაბის საყელოსთან.

ფრანგულიდან თარგმნა
**დავით კახაბერმა**



# ნათელა ურუშაძე

— რაბინო, სტყუი! — იყო ამოძახილი დიდოსტატი მსახიობისა. — ახლა ჩემი ხარ, ჩემი, ურიელ... ვისაც აქვს ძალა და ნებისყოფა, ის მთელ ქვეყანას დაიმორჩილებს!

მაღალ თეთრ კიბეზე ამაყად იდგა ქანდაკების მსგავსი ივდითი, ივდითი — ვერიკო ანჯაფარიძე და მადლიერი მაყურებელი კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დაუსრულებლად უკრავდა ტაშს. მაყურებელთა შორის იყო ნათელა ურუშაძეც. მაშინ მან პირველად იხილა ვერიკო სცენაზე და მსახიობის ტალანტმა მოაჯადოვა. დიდმა ხელოვნებამ ისე შესძრა ნათელას გონება, რომ დღენიადაგ არ სცილდებოდა სწრაფვა მომავლისა — თეატრალური განათლება მიეღო.

თბილისში, ღამბაშიძის მყუდრო ქუჩაზე ნათელა ურუშაძისა და გოგი გეგეჭკორის ოჯახი ცხოვრობს. ბინა მუზეუმს დამსგავსებია. ოთახის კედლები გამოჩენილი მხატვრის — ელენე ახვლედიანის ნამუშევრებს დაუფარავს. მისი საოცრად შთამბეჭდავი ძველი თბილისი — ვიწრო ქუჩები, სახურავები, ზამთრის პეიზაჟი, ფერადოვანი ფანტაზიის განუმეორებელი შედევრები — ამ ოჯახის ღირსშესანიშნავ განძად ითვლება.

სახელდახელო თაროებზე სპილენძის, ხის მრავალი ნაკეთობა მოხდენილად არის ჩარიგებული. ხელოვანი ქალი დიდი ხანია ხის და კერამიკის ძველ ქართულ ჭურჭელს აგროვებს. ჩუქურთმიან წყლის დოქზე ადამიანები და ცხოველებია გამოსახული. ნათელას იგი მარტყოფელმა ასი წლის დ. არსენიშვილმა აჩუქა. აქვეა კერამიკული ორიგინალური ქაფქირი, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისში ფაქიზად არის შესრულებული. თვალს იპყრობს ქაშანური თიხის ჭურჭელი, მამაპაპათა საოჯახო ნივთები, ზოგი სადა, ზოგი ორნამენტით დამშვენებული.

ნათელა ქუთაისში, ძველი ბოლშევიკის — ამბერკი ურუშაძის ოჯახში დაიბადა. ამბერკი ურუშაძე იმხანად ქუთაისის სამაზრო კომიტეტის მდივანი იყო. წლები მიდიოდა. ნათელა და მისი მშობლები უკვე თბილისში ცხოვრობდნენ. მას ქართულ ენას — იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას" ცნობილი პედაგოგი ვარო ვარდიაშვილი ასწავლიდა.

თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის წარმატებით დასრულების შემდეგ, მოსკოვში ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა.

— ჩემი ყველაზე საყვარელი, საპატიო საქმე სტუდენტთა აღზრდაა, — ამბობს თბილისის თეატრალური ინსტიტუტის თეატრის ისტორიის ლექტორი ნათელა ურუშაძე. იგი 1948 წლიდან ზრდის ამ ინსტიტუტის სტუდენტებს.

— მათი ყოველი წარმატება ახალ ენერგიას მმატებს. ახალგაზრდობას ცოდნის წყურვილი უნდა გაუღვიძო. ამას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. ეს პედაგოგის უპირველესი მოვალეობაა. რა დამავიწყებს, ჩემს საყვარელ მოსწავლეებს — გელა კანდელაკს, ბელა მირიანაშვილს, მურმან ჯინორიას, კოტე ნინიკაშვილს, ნათელა არველაძეს და რომელი ერთი უნდა დავასახელო!

ნათელა ურუშაძე მრავალი ნაშრომის ავტორია. მის ნაშრომს — „ვეფხისტყაოსანი" და ქართული სასცენო ხელოვნება" — საუკეთესო შეფასება ხვდა წილად და მეცნიერების კანდიდატის ხარისხიც მიანიჭეს. შარშან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, რომლის თემა იყო „ქართული სათეატრო კრიტიკა 1801-1860 წლებში".

აბა რას იფიქრებდა ივდითის ბრწყინვალე თამაშით დაპყრობილი გოგონა, რომ გაივლიდა წლები და გამოსცემდა წიგნს ქართული სცენის სწორუპოვარ ხელოვანზე — ვერიკო ანჯაფარიძეზე, სხვა თეატრალურ მოღვაწეებზე. მის კალამს ეკუთვნის მონოგრაფიები „სესილია თაყაიშვილი", „ელენე ახვლედიანი — თეატრში", „არჩილ ჩხარტიშვილი", „ცაცა ამირეჯიბი".

ნათელა სისტემატურად თანამშრომლობს ცენტრალურ პერიოდულ პრესაში, ჟურნალ „თეატრში". ლენინგრადში გამოდის წიგნი „საბჭოთა სცენის ოსტატები". მას სთხოვეს და გაგზავნა ორი პორტრეტი — „სესილია თაყაიშვილი" და „ეროსი მანჯგალაძე", ხოლო ლენინგრადის გამომცემლობა „ხელოვნება" გამოსაცემად ამზადებს ნათელა ურუშაძის წიგნს — „სესილია თაყაიშვილი".

ნათელა რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებს წერილებს თეატრის პრობლემურ საკითხებზე. მას აფიქრებს თეატრისა და მაყურებლის კონტაქტის პრობლემა.

— დიდია სპექტაკლის გავლენა მაყურებელზე, მის საზოგადოებრივ შეგნებაზე, — წერს იგი — კონტაქტი არ მყარდება, თუ საქმე არა გვაქვს ჭეშმარიტ ხელოვნებასთან. სპექტაკლებზე დასწრების საკითხიც აქედან იწყება. ჩვენი მაყურებელთა გემოვნება და ინტერესები, საზოგადოებაზე სპექტაკლების ზემოქმედების ეფექტურობა, ღრმად შესასწავლია.

თეატრს ჰყავს უხილავი მეგობრები. ესენი არიან; სუფლიორები, გამნათებლები, ჩამცმელები, გრიმიორები, სცენის მუშები და ნათელას აზრით, თეატრის შემოქმედებითი პრობლემების შესწავლის დროს მათი წვლილი არ უნდა დავივიწყოთ.

მეგობრობამ არ იცის მანძილი! ნათელა ურუშაძეს მიწერ-მოწერა აქვს ს. რიხტერთან, მსახიობ პ. რიბნიკოვასთან, ერევნის ხელოვნების ინსტიტუტის დირექტორთან — შექსპიროლოგ რ. ზარიანთან, თეატრმცოდნე ს. რიზაევთან, აზერბაიჯანელ თეატრმცოდნე ა. ალიევასთან, სახელოვან თანამემამულესთან — გამოჩენილ რეჟისორ გ. ტოვსტონოგოვთან.

ღამით გვიან ქრება სინათლე ფანჯარაში. ოთახს შუქს ჰფენს კედლიდან გადმომზირალი მხატვრული ქმნილებების გასაოცარ ფერთა სამყარო: ამირი კაკაბაძის „სვანეთი", თენგიზ მირზაშვილის „მთაში", ნანი შალიკაშვილის „ჭორიკანები", სვიატოსლავ რიხტერის „ნატურმორტი", ვაჟაშვილის — სამხატვრო ტექნიკუმის სტუდენტის, გიორგი გეგეჭკორის „პორტრეტი", შურა ბანძელაძის „გოგი გეგეჭკორი", ვასილ შუხაევის „ციხისჯვარი", იოსებ სუმბათაშვილის „რიჩარდ მესამისა" და „მოძღვარის" თეატრალური დეკორაციების ესკიზები.

ნათელას ასე სწამს; ადამიანმა უნდა იცოდეს თავისი მოწოდება ცხოვრებაში, არასოდეს უნდა თქვას უარი მცირედზე. წლები გარბიან და ეცადოს მეტი მოასწროს, ყოველი დიდი საქმე ხომ პატარა საქმით იწყება, აგურებით შენდება ხელოვნების სწორუპოვარი ქმნილებებიც...

ხელოვანი ქალი მაგიდასთან თავდახრილი ზის და პატარა წიგნაკში ახალი ჩანაწერები ჩნდება. ნათელა ურუშაძის ვრცელ შემოქმედებით ბიოგრაფიაზე მოგვითხრობენ სათუთად აკინძული მისი ცხოვრების ფურცლები.

ეთერ ჯაფარიძე

# ცხოვრების მიზანი

შოთა და მარგალიტა მეტრეველების სურათების გამოფენა შარშან რიგით 62-ე გახლდათ; იგი ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში მოეწყო სექტემბრისა და ოქტომბრის თვეებში.

ამჯერად მხოლოდ მარგალიტას ხელოვნებაზე ვიტყვით ორიოდე სიტყვას. „ორიოდესო", იმიტომ ვამბობთ, რომ მათ შემოქმედებაზე იმდენი დაწერილა, ისე სავსეა შთაბეჭდილებათა წიგნი დამთვალიერებელთა გამოხმაურებებით, რომ ჩვენი წერილი მართლაც ორიოდ სიტყვა იქნება ამ ხელოვან ქალზე.

მარგალიტას შემოქმედება მრავალთემიანი და მრავალფეროვანია. მის ყალამს ეკუთვნის პეიზაჟები, პორტრეტები, ნატურმორტები, სოფლისა თუ ძველი და ახალი თბილისის ხედები, და, რაც მთავარია, მხატვრის შემოქმედება ეხმაურება ჩვენი ცხოვრების ყოველ სიახლეს, რაც კი ახარებს ერს, სამშობლოს. მისი შემოქმედება შრომისა და ენთუზიასტი ადამიანების ერთი დიდი და გულწრფელი ეპოპეაა.

მარგალიტას ტილოები ლირიკულია, თბილი და ხავერდოვანი. ხელოვანს შესწევს უნარი, თუნდაც ორიოდე ფერის შერწყმით შექმნას ცოცხალი, მართალი სურათი.

მარგალიტას „იყალთო" სწორედ ორ ფერშია გადაწყვეტილი: ოქროსფერისა და მწვანის ერთმანეთის კონტრასტული ფერის წყალობით მხატვარი მიზანს აღწევს... წელთა სვლით დახავსებულ კედლებზე მწვანე ბუჩქები გადმოზრდილა და ბებერი ციხის ნანგრევებს თითქმის მკერდით იცავენ ზურმუხტისფერი, ლორთქო ფოთლები.

ხელოვანს შეუძლია მწუხარება მარტო მუქ ფერებში კი არ გადმოგვცეს (როგორც მაგალითად სურათში „დასჯის წინ"), არამედ ლაჟვარდისფერ მონასმებშიც დაგვაფიქროს და სევდა გვაგრძნობინოს. ამ მხრივ ნიშანდობლივია ტილო — „ტყვე კახელები ირანის გზაზე". ხელოვანის მარჯვენამ აქ ლაჟვარდოვანი, ნაზი ფერებით ტრაგიზმის გადმოცემა შეძლო: იისფერი ზეცა ისე შეუმჩნევლად ეტმასნება შორეულ მთებს, რომ ოდნავღა ეტყობა რომელი მთავრდება და რომელი იწყება. კახელები „მოუსავლეთის" გზას დასდგომიან, სტოვებენ მშობლიურ მხარეს. დიახ, დიახ, რამდენი მწუხარებაა ამ ნაზ ფერებშიც. მათ ავტორს არ დასჭირვებია ჩამოქუფრული ზეცა და ავის მომასწავებელი ღრუბლები, ერთი გლეხის იდუმალი მზერაც კი, გუმანით რომ ემშვიდობება მშობლიურ მიწას, საკმარისია გულზე მძიმე ლოდივით დაგაწვეს...

„სვეტიცხოველი", „ხერთვისის ციხე", „ნარიყალა", „შემოდგომა", „ტბა გლდანთან", „იყალთოს აკადემიის ნანგრევები", „პუშკინი გრიბოედოვის საფლავთან", „აკაკი წერეთელი რაჭაში", „წყალტუბოში", „შხეფის ციხე" და სხვა მრავალი ხომ მთელი პოეზიაა ფუნჯით დაწერილი.

ყველა ექსპონატი მაღალი გემოვნებით, თავდაჭერილ ფერთა შეზავებით, თავისებური წერის მანერით არის შექმნილი და ვერ უსაყვედურებ რომელიმე ფერთა სიჭარბეზე, ან უაზრო, უმიზნო მონახაზზე. ყველა მათგანს ავტორისეული სითბო, ლირიულობა, ქალური სინატიფე ახლავს. ჩვენ, დავათვალიერეთ მეტრეველების სახელოსნო, სადაც მარგო, შოთა და მერაბის (შვილი) ხელოვნება მთელი შინაარსით წარმოგვიდგა — „ჩაიში", „გაუწვიმდათ", „ბაკურიანში", „ძველი თბილისის ხედი", „მანდარინის კრეფა" და კიდევ ბევრი ტილო... მაგრამ ერთ სურათზე „ვარაზისხევის მშენებლობაზე" შევჩერდებით. ვისაც ადრინდელი ვარაზისხევი უნახავს, ზუსტი სურათი წარმოუდგება. ახლა, ტილოზე ხევს მშენებელთა მთელი რაზმი შესევია, მოშორებით, გორაკის თავზე კი გედივით მოჩანს სიბრძნის კერა — უნივერსიტეტი. კაცის მარჯვენამ შესცვალა ვარაზისხევის მიდამოები. ტილოზე გადატანილი ეს სიახლე ნათლად წარმოგვიდგენს შრომის პროცესს.

მარგალიტა მეტრეველის ხელოვნება ოთხი ათეული წელია სიამოვნებას ანიჭებს დამთვალიერებლებს. მის ნამუშევრებს მოვლილი აქვს რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონი, საწარმო, კულტურის სახლი, სამხედრო ნაწილები და სკოლის საგამოფენო დარბაზები.

მადლობის მეტი რა გვეთქმის ამ საინტერესო ხელოვანი ქალის მიმართ.

დ. დონაძე



მუშაობის შემდეგ



ტყვე კახელები ირანის გზაზე



ილია ჭავჭავაძე ყვარელში დამბის მშენებლობაზე



ნაწვიმარზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „პირველი მერცხალი" რედაქციაში



ცნობილი ქართველი კინორეჟისორის — ნანა მჭედლიძის შემოქმედებას კარგად იცნობს ჩვენი მაყურებელი. მისი ფილმები: „მოდის მატარებელი", „გზაში", „ვიღაცას ავტობუსზე უგვიანდება", „ალმაფრენა", „ველა", „დედები და შვილიშვილები" ფაქიზი რეჟისორული ხედვით, რეალისტური ხელწერით და ხალასი იუმორით გამოირჩეოდა. ამის შედეგია ნიჭიერი რეჟისორის ფართო პოპულარობა. განსაკუთრებით დიდი წარმატება ხვდა წილად ნანა მჭედლიძის ახალ ფართოეკრანიან მხატვრულ ფილმს — „პირველ მერცხალს", რომელიც ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის მორიგ გამარჯვებად იქცა.

რედაქციის მრგვალ მაგიდასთან მოვიწვიეთ ფილმის სცენარის ავტორი ლევან ჭელიძე, დამდგმელი რეჟისორი ნანა მჭედლიძე, ფილმის კონსულტანტი, საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ბორის პაიჭაძე და რამდენიმე კითხვით მივმართეთ მათ.

**— პატივცემულო ნანა, რა არის მიზეზი თქვენი, როგორც რეჟისორი ქალის „კაცური" სცენარით დაინტერესებისა?**

**ნანა მჭედლიძე** — უპირველეს ყოვლისა, ის, რომ ძალიან მიყვარს ფეხბურთი, სპორტის ეს ერთ-ერთი ულამაზესი სახეობა. მასში ყოველთვის ვხედავ ადამიანის რაინდობას, პატრიოტიზმის უდიდეს გრძნობას, და თქვენ წარმოიდგინეთ, — სინაზეს, სიფაქიზეს... და, რაც მთავარია, დამაინტერესა სცენარმა, რომელიც ნიჭიერმა დრამატურგმა ლევან ჭელიძემ დაწერა. სცენარში წინასწარ შევიგრძენი რეჟისორული თვალთახედვის, ფანტაზიის, ეკრანული გადაწყვეტის საუკეთესო ნიშან-თვისებები. გადავწყვიტე ეკრანზე გადამეტანა ჩვენი პირველი ფეხბურთელების საინტერესო თავგადასავალი, ფეხბურთელებისა, რომლებიც გასული საუკუნის მიწურულში და ჩვენი საუკუნის დასაწყისში ფოთში ცხოვრობდნენ. მათი სახელები არ შემორჩა პრესის ფურცლებს, სპორტულ მატიანეს. ისინი ლეგენდად იქცნენ, და მეც ამ ლეგენდად ქცეულ ადამიანთა ეკრანზე გაცოცხლება დავისახე მიზნად.

**— ბატონო ლევან, როგორ დაიბადა სცენარის შექმნის იდეა? რეალური ამბები დაედო თუ არა საფუძვლად სცენარს?**

**ლევან ჭელიძე** — მეც ძალიან მიყვარს ფეხბურთი... ხშირად მიფიქრია, თუ როდის, ვინ ჩაუყარა საქართველოში მას საფუძველი. ზღვისპირეთში, სადაც ჩემი ბავშვობის საუკეთესო წლები გავატარე, ბევრი რამ მსმენია პირველ ქართველ ფეხბურთელებზე, მათს დიდ ენთუზიაზმზე, თავდადებაზე, შემართებაზე... და აი, მეც გადავწყვიტე მცირე დოკუმენტურ, უფრო სწორად, ნაამბობ მასალებზე ამეგო მომავალი სცენარის სიუჟეტური ქარგა.

**— ჰპოვა თუ არა, სცენარის ლიტერატურულმა პირველწყარომ სრულყოფილი ასახვა სცენარის სარეჟისორო ვარიანტში და ეკრანზე?**

**ლევან ჭელიძე** — ზოგჯერ ასე მგონია, „პირველმა მერცხალმა" ჩემს შესაძლებლობებსაც გადააჭარბა. ამას კი ნანა მჭედლიძის, როგორც ნიჭიერი რეჟისორის თავისებურ, გასაოცარ ხელწერასა და გადაწყვეტას ვუმადლი.

**— ქალბატონო ნანა, რა არის მიზეზი ფილმის ასეთი დიდი წარმატებისა?**

**ნანა მჭედლიძე** — ამ კითხვაზე ძნელია პასუხის გაცემა... მაგრამ ჩემი აზრით, — სცენარი და მსახიობთა თამაში.

**— რაკი ფილმის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით მსახიობებს, რას გვეტყოდით დებიუტანტებზე?**

**ნანა მჭედლიძე** — ფილმში, მართლაც, ბევრი დებიუტანტია. ცნობილი მსახიობების — დოდო აბაშიძის, იპოლიტე ხვიჩიას და ვასილ ჩხაიძის გვერდით თამაში მოუხდათ ვასილ ნადარაიას, ანზორ ხერხაძეს, თეიმურაზ თავაძეს, ზურაბ შილაკაძეს, დიმიტრი ჯაიანს, ბესო მეგრელიძეს, გულჩინა დადიანს, ცნობილ ქართველ მხატვარს გიგლა ფირცხალავასა და სხვებს. მე კმაყოფილი ვარ მათი თამაშით. ადვილად გამოვნახე მათთან საერთო ენა. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ვასიკო ნადარაიას დებიუტი; მან ბრწყინვალედ განასახიერა პირველი ქართველი მეკარის — ხვიჩა ქარცხიას სახე. თამამად შეიძლება ვაღიაროთ, რომ მთელი ფინალური სცენა, როგორც იტყვიან, ამ ჭაბუკის ზურგზე გადავიდა. მის „ალმოჩენას" ლევან ჭელიძეს ვუმადლით.

**— ფილმი ფეხბურთელთა ცხოვრებას,**

## ეთერ ანჯაფარიძე— მონრეალის საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებული

ეთერ ანჯაფარიძემ, როგორც მუსიკოსშემსრულებელმა თვალსაჩინო აღიარება ჰპოვა. მისი რეპერტუარი მრავალფეროვანია — ასრულებს სხვადასხვა სკოლისა და ეპოქის კომპოზიტორთა ნაწარმოებებს.

**1974 წლის ივნისში მოსკოვში პ. ჩაიკოვსკის სახელობის V საერთაშორისო კონკურსზე ლაურეატის წოდება მიანიჭეს. იგი კარგად მიიღო მსოფლიოს მუსიკალურმა საზოგადოებამ. მკაცრი ჟიური მოხიბლა ქართველი მუსიკოსი გოგონას პოეტურობამ.**

**წლეულს საბჭოთა პიანისტმა ეთერ ანჯაფარიძემ პირველი პრიზი მოიპოვა მონრეალის საერთაშორისო კონკურსში.**

**კანადის პრესამ ფართოდ აღნიშნა 19 წლის ეთერ ანჯაფარიძის დიდი საშემსრულებლო ხელოვნება.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათს დიდ ენთუზიაზმს და თავგანწირვას ეხება. **რას გვეტყოდით ფილმის მონაწილე მსახიობებზე, როგორც ფეხბურთელებზე?**

**ნანა მჭედლიძე** — როდესაც ცოლიანებისა და უცოლოების თამაშის ეპიზოდებს ვიღებდი, მსახიობებმა რატომღაც გროტესკულად ითამაშეს და როლები გააშარჟეს. შარჟზე სასტიკი უარი განვუცხადე და, შემდეგ ისე დრამატულად, ისე თავგანწირვით თამაშობდნენ, რომ ზოგიერთი მათგანი კინაღამ დაშავდა... პირველად ცოტა გაუჭირდათ მინდორზე თამაში, მაგრამ, ბატონი ბორისის უდიდესმა მონდომებამ ისინი მოკლე ხანში თითქმის პროფესიონალ ფეხბურთელებად აქცია.

**— ბატონო ბორის, თქვენ როგორც ფილმის კონსულტანტი, რას გვეტყოდით ფილმის სპორტულ ღირსება-ნაკლოვანებებზე?**

**ბორის პაიჭაძე** — ჩემი აზრით, ფილმი უნაკლოა. იგი მომხიბვლელად გვაცნობს პირველ ქართველ ფეხბურთელთა ცხოვრებას. სცენარის წაკითხვის შემდეგ სიამოვნებით დავთანხმდი კონსულტანტობაზე, მაგრამ მერე ვიფიქრე, რამ გააბედვინა ამ ქალს ასეთ რთულ სცენარზე მუშაობა-მეთქი?.. სიმართლე გითხრათ, გულში ცოტა უიმედობა შემეპარა.

ქართველ ფეხბურთელთა თაობა, რომელსაც მე ვეკუთვნი, მეხუთე თაობაა საქართველოში. ჩვენ მეტ-ნაკლებად ვიცით მესამე და მეორე თაობათა საქმიანობის ამბავი. სრულებით არაფერი ვიცით პირველი თაობის წარმომადგენლებზე. ასე, რომ ნანა მჭედლიძემ ამით დიდი, საპატიო საქმე გააკეთა. მე, როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარეს და სპორტსაზოგადოება „დინამოს" დირექტორს, გადაწყვეტილი მაქვს „დინამოს" ახალი სტადიონის გახსნის საპატიო მისია „პირველი მერცხლის" ფეხბურთელთა გუნდს დავაკისრო, და ისიც — ნანა მჭედლიძის „კაპიტნობით".

**— ბატონო ბორის, რა აზრისა ბრძანდებით ფილმის „ბატალურ", საფეხბურთო სცენებზე?**

**ბორის პაიჭაძე** — მე გაოცებული ვუყურებ ფილმს. მხიბლავს თამაშის მანერა, მსახიობთა შემართება და ოპერატორ გიორგი ჭელიძის ხედვა: მან ფირზე უკლებლივ აღბეჭდა ყველა ის განსაცვიფრებელი საფეხბურთო ილეთი და მომენტი, რომელიც შეიძლებოდა ჩვენს მახვილ თვალს გამოპარვოდა.

ჩინებულია!

**— ქალბატონო ნანა, გვითხარით რამე ფილმის წარმატებაზე, თეირანის მეოთხე საერთაშორისო კინოფესტივალზე.**

**ნანა მჭედლიძე** — თეირანის საერთაშორისო ფესტივალი ერთ-ერთი ცნობილი და ყურადსაღები ფესტივალია მსოფლიოში. ამჯერად, მეოთხე საერთაშორისო კინოდათვალიერებაში მონაწილეობას იღებდა მსოფლიოს 52 ქვეყნის 76 ფილმი, მათ შორის ცნობილი იტალიელი კინორეჟისორების, საქვეყნოდ აღიარებული პეტრო ჯერმის, მიქელანჯელო ანტონიონის, რობერტო როსელინის და სხვათა სურათები. საბჭოთა კავშირიდან, როგორც მოგეხსენებათ, ამ დიდ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ჩვენი ფილმიც გაიგზავნა.

ფესტივალზე გამარჯვებული ფილმებისათვის დაწესებული იყო ხუთი ოქროს პრიზი: „გრან პრი", ჟიურის სპეციალური პრიზი, პრიზი საუკეთესო რეჟისურისათვის და პრიზები ქალისა და კაცის როლების საუკეთესო შემსრულებელთათვის. „პირველმა მერცხალმა" ხუთი დიდი პრიზიდან ორი „ოქროს ჯიხვი" ჩამოიტანა... ეს, მართლაც ფილმის გამარჯვებაა. არ დავმალავ: გვიხარია...

**— რას გვეტყვით ქალაქ ფრუნზეში გამართულ მეცხრე საკავშირო კინოფესტივალზე მოპოვებული წარმატებების შესახებ?**

**ლევან ჭელიძე** — პატივცემული ნანა იმ ხანად ახალ ფილმზე მუშაობდა; „პირველ მერცხალს" მე ვახლდი თან.

საკავშირო კინოფესტივალი, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი დიადი ქვეყნის, საბჭოთა კავშირის კინემატოგრაფისტთა დიდი ფორუმია. გვეამაყება, რომ სამი უმაღლესი ჯილდო გვხვდა წილად. ესენია: პრიზი საუკეთესო კომედიისათვის, პრიზი კაცის როლის საუკეთესო შემსრულებლისათვის (რომელიც დოდო აბაშიძეს ხვდა წილად), და პრიზი „საბჭოთა სპორტსმენებისაგან".

**— კიდევ სად გაემგზავრა „პირველი მერცხალი"?**

**ნანა მჭედლიძე** — წლეულს, მაისის ბოლოს, მე და „პირველი მერცხალი" ავსტრალიაში გავემგზავრეთ, სადაც ფესტივალთა ფესტივალი გაიმართა. აქ მსოფლიოს სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალებზე გამარჯვებული ფილმები იყო წარმოდგენილი. ავსტრალიიდან დაბრუნების შემდეგ კი მონაწილეობა მივიღე ჩვენი რესპუბლიკის მეორე კინოფესტივალში, რომელიც ბათუმში გაიმართა. აქ ფილმმა „პირველმა მერცხალმა" დაიმსახურა დიდი პრიზი. მთავარი როლის შემსრულებელს დ. აბაშიძეს კი იასონის სახის განსახიერებისათვის მიეკუთვნა პრემია „მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის".

**— „პირველი მერცხლის" გადამღები კოლექტივი შემდგომშიც ხომ არ აპირებთ ერთობლივ მუშაობას?**

**ნანა მჭედლიძე** — ჩვენ უკვე შევუდექით ახალი, სრულმეტრაჟიანი, ფართოეკრანიანი ფილმის გადაღებას. ფილმს ჰქვია „ნამდვილი თბილისელი და სხვები..." სცენარი ლევან ჭელიძესთან ერთად დავწერე. მასში ჩვენი დღევანდელობის ზოგიერთი საჭირბოროტო საკითხი, ჩვენი თანამედროვე ადამიანები, მათი საქმიანობა აისახება. ფილმი თვრამეტი დამოუკიდებელი მიკრონოველისაგან შედგება.

ვეცდებით გავამართლოთ მაყურებელთა მოლოდინი.

— გმადლობთ!

საუბარი ჩაწერა ბონდო გაგნიძემ



ნანა მჭედლიძე



ბორის პაიჭაძე



ლევან ჭელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მუშური მარჯვენით

ნარკვევი

როცა ჩექმებს ჩაიცვამდა, სიმაღლე სულ ეკარგებოდა. უხეში, გახუნებული და ალაგ-ალაგ დამსკდარი ჩექმები ქალობას უკარგავდა და მოზარდი ბიჭივით აჩენდა. მუზარადს რომ დაიხურავდა, მაშინ სიცილის მომგვრელი იყო, თვალებზე ჩამოფხატულ ქუდში ცხვირიღა მოუჩანდა. თერთმეტ ძმაკაცთან თავად მეთორმეტე ძმაკაცივით გაერეოდა და ახლა არავის ახსოვდა, რომ მას ნადია ერქვა. ჰყავდა სამი ვაჟი და პირველი ნახევარი.

— ბიჭო, მოგვაწოდე ერთი! ბიჭო, ჩამოასხი ბეტონი! ისე ჩვეულებრივად ეუბნებოდნენ და ისიც ისე ჩვეულებრივად იგებდა მათს ნათქვამს, თითქოს გამჩენს ამ საქმისთვის გაეჩინა.

მშენებლობაზე ისიც „მამაკაცი" იყო, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მათზე უფრო იტანდა სიძნელეებს, მათზე ნაკლებად იღლებოდა და მათზე მეტად საქმიანობდა.

34 წელი მთელი ცხოვრებაა. მან კი მებეტონის სახელით ამდენი ხანი იარა, საქართველოში ერთადერთი მებეტონე ქალის სახელით, თანაც ისე, რომ მეტოქეობას ბეტონის ხარისხში ვერცერთი კაცი ვერ უწევდა. პირველხარისხოვანი მებეტონე — ასეთია ნადია ომერიძე, სოციალისტური შრომის გმირი, — დღეს უკვე შეჭაღარავებული, დაბალი ტანის, მოუსვენარი თვალებისა და არნახული ენერგიის ქალი.

თბილისში ჟინჟღლავდა. ძვალსა და რბილში ატანდა ქარი. ადამიანები ერიდებოდნენ გარეთ გამოსვლას, თუმცა ჯერ კიდევ ადრიანი დილა იყო. დახეული სურთუკიდან ალაგ-ალაგ ბამბები გამოჩროდა. სურთუკი სანახევროდ სველი იყო, წვიმა მკვრივად ჯდებოდა შიგ და ჟღენთავდა. გუშინაც ჟინჟღლავდა, გუშინწინაც. ვერა და ვერაფრით გააშრო ტანსაცმელი. ფეხებში წყალი შესდიოდა, დახეულ ჩექმებს უფრო ამძიმებდა და თითებს ჭყლაპაჭყლუპი გაუდიოდათ. ამას ვერ ამჩნევდა. მუზარადის ქვეშ შემცივნებულივით ძაგძაგებდა და წყალში უფრო ღრმად შედიოდა. თითქოს სურდა, უფრო მეტი სიძნელე აეტანა, მეტად შეწუხებულიყო. ალბათ იმიტომ, რომ მის სულშიც ჟინჟღლავდა, ომში წასული შვილის წერილი არ ჩანდა, ქმარი ლოგინად ჩაეგდო ავადმყოფობას, ორი პატარა ბიჭი დილით მშიერი წავიდა სკოლაში, თითქოს ვერ შეამჩნიეს, რომ პური არ ჰქონდათ.

ომს შეეცვალა ყველაფერი, ადამიანებიც, მათი ხასიათიც. მტკვარი კი არ აპირებდა შეცვლას, თავისუფლად, თავის ნებაზე სურდა ევლო. ჩაუხტნენ მშენებლები, არტახების მოჭერა დაუპირეს, განრისხდა მდინარე, აგრე ადვილად არ სთმობდა შეჩვეულ ფუძეს, ლაღ მდინარებას იყო მიჩვეული, ვიწრო კალაპოტს როგორ დანებდებოდა, და შეუტია მშენებლებს. ნადიას ბრიგადის წევრებს ერგოთ წილად მტკვრის სანაპიროს დაბეტონება. სასწრაფოდ გააკეთეს ხის მორები მდინარეში, მათ შორის მიწა ჩაყარეს. მაშინ იკადრა გარიდება მდინარემ, თავი შეივიწროვა. მიწაჩაყრილ ადგილას რომ დააშრეს წყალი, მერე ეს მიწა ექსკავატორმა ამოფხიკა. კლდის ძირამდე ჩავიდნენ მშენებლები. ნადია სულ აღარ ჩანდა კლდის ფსკერზე, მუხლებზე დაჩოქილი, ვეება ჩაქუჩით ასწორებდა უსწორო ზედაპირს, ნატეხებს ყრიდა, რეცხავდა, ფსკერს, სარკესავით აპრიალებდა. შემდეგ თავისებურად აზავებდა ბეტონს და...

რკინა-ბეტონის არტახებში ჩააწვინა მტკვარი ორთაჭალიდან ჩელუსკინელების ხიდამდე. ხუთ წელს აშენებდა სტალინის სახელობის სანაპიროს და მშენებლობა რომ დაასრულა, იმ ბედნიერ დღეს ომი აღარ იყო, შვილიც ჩამოუვიდა ჯარიდან, ბიჭებიც უფროს კლასებში გადავიდნენ, მხოლოდ ქმარი ვერ დგებოდა ლოგინიდან.

და მაინც ბედნიერი დღე იყო ის დღე, არსენალზე შინისაკენ ფეხით გასწევდა ხოლმე. უკვირდა, დაღლას რომ ვერ გრძნობდა. ალბათ, იმიტომ, რომ იცოდა, შინ ბევრი საქმე ელოდა და ყველაფერი მისი გასაკეთებელი იყო. დედობაც უნდა გაეწია, მეუღლეობაც.

ოთახში რომ შევიდა, ჩამოღამებულიყო. ბავშვები თავისთვის მეცადინეობდნენ. ქვაბს თავი ახადა, კერძი დაემზადებინათ, ეტყობოდა, ბაზარში ყოფილიყვნენ. ვახშმის შემდეგ რეცხვა

კერვა, ხეხვა, ლაგება იწყებოდა და გვიანობამდე, ზოგჯერ დილამდე გრძელდებოდა, დილას, თითქოს ბევრი ეძინაო, ისე გამოდიოდა შინიდან.

ნადიას დამზადებული ბეტონი ყოველთვის საუკეთესო იყო. ამაში მაშინაც დარწმუნდნენ, როცა მტკვრის სანაპიროზე საცხოვრებელი სახლებისათვის საძირკველი გაჭრეს. ახლადდაშრობილი მტკვრის ყოფილ ნაპირზე სახლების მშენებლობა დაიწყო. საძირკველი იქ გაიჭრა, სადაც წინათ მტკვარი მიდიოდა. ნადიას ბეტონმა მტკვრის წვეთიც არ გამოუშვა ძველი კალაპოტისკენ. გულდაჯერებულად ამოიყვანეს მრავალსართულიანი სახლების ფუძე. ნადია თვითონ აწყობდა არმატურას საძირკველში, ასხამდა თბილ ბეტონს. მას ისე აზავებდა, როგორც ადამიანთა საცხოვრებელს ეკადრება — სანდოდ, მაგარს, თაობებისათვის გამძლეს.

სამუშაო ძალიან ძნელი იყო. ნაჭაობარს ჰგავდა იქაურობა. სისველე აწუხებდათ მებეტონეებს, წელამდე სველი იდგა ხოლმე ნადია დილიდან საღამომდე, მაგრამ გაკეთდა საგულდაგულო საძირკველი, ამოვიდა კედლები, უმანქანებოდ და უამწეებოდ, ხელით აჰქონდათ სართულებზე ბეტონი, ხსნარი. ქვემოდან — ზემოთ, ზემოდან — ქვემოთ, მთელი დღე დაკიდებულ კიბეებზე სირბილი...

და ამ ნათელ კორპუსებში შესანიშნავი ოჯახები დაბინავდნენ, ბავშვები გაჩნდნენ, დაიზარდნენ, საქმის ადამიანებად იქცნენ...

...სოფლიდან ბიჭი ჩამოვიდა — მარტო, უდედმამოდ. დაიწყო მუშაობა და სასწავლებელშიც მოეწყო. იგი „თბილმშენის" მე-14 ტრესტის მეექვსე სამმართველოს მებეტონეს ბრიგადის მუშა იყო. ხალათი რომ გამოეხეოდა, ნადია დეიდასთან მიჰქონდა დასაკერებლად. ნადიაც ზოგისთვის დედა იყო, ზოგისთვის — და, ზოგისთვის — ძმაკაცი.

კაცი მთელი დღე ხმას რომ არ ამოიღებდა, პურსა და ძეხვს არ გაეკარებოდა და საღამოზე „ნახვამდისაც" არ იტყოდა, იმას ნამდვილად რაღაცა უჭირდა. უყურებდა ერთ-ორ დღეს ნადია და მერე ყველაფერს წვრილად ჩაჰკითხავდა, ცოლთან უსიამოვნებისთვის გაამტყუნებდა, ბავშვს დააფიცებდა, კაცურ ნამუსს უხსენებდა.

ვინმე რომ საცოლეს შეიგულებდა, ნადიასთან მოჰყავდა, აჩვენებდა და ნადია თუ ეტყოდა „კარგია, გამოგადგებაო", გულს დაიდინჯებდა.

ადამიანები ბრიგადაში მიდი-მოდიოდნენ. ზოგი წინაურდებოდა, ზოგი სწავლას ასრულებდა და სხვა საქმეს ჰკიდებდა ხელს. ნადია კი მებეტონედ დაბერდა და ძველი ტრესტი არ მიატოვა. ახლა ტრესტის მმართველი ის ყოფილი მებეტონეა, ხალათს რომ აკერებინებდა ნადია დეიდას. თვალებში უყურებს უმართველი შრომაში დაბრძენებულ, თვითნასწავლ და დახელოვნებულ მებეტონეს, რომლის ენერგია ყოველთვის აოცებდა და ახლაც აოცებს, რომლის შრომისმოყვარეობას ვერავისას ადარებს.

მას საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ეკითხებიან რჩევა-დარიგებას, ჩამოდიან, წერილებს უგზავნიან. მას თბილისის აღმშენებლად, მაღალი ხარისხის მებეტონედ იცნობენ.

ომის შემდეგ ვაგზლის მოედნის წინ ექვსსართულიანი სახლის შენება რომ დაამთავრა, დიდუბეში საცხოვრებლები წამოჭიმა, მესამე მასივის სახლები აგურით რომ ააგო, მოსკოვის პროსპექტიც აგურის სახლებით დაამშვენა, ამას დიღმის მასივი, თბილისის ზღვა, სანზონა მოჰყვა... ფუნიკულიორზე ტელევიზიის ანძის საძირკველში მან თავისებურად შეზავებული ბეტონი ჩაასხა.

ასობით სახლია მის სახელზე, მკვიდრად ნაგები, მიმზიდველი. ათასობით ოჯახი ცხოვრობს ამ სახლებში მათ არ იციან, ნადია ომერიძემ რა დიდი სიყვარულით ააგო ეს ბინები, სასადილო თუ საძილე ოთახები, ლოჯიები, აივნები, სამზარეულოები, არ იციან, რამდენი უფიქრია ნადიას აქაურთა ბედნიერ ცხოვრებაზე.

ახლა გლდანში დგას, 5-6 თვეში ცხრასართულიან სახლს აშენებს. შესანიშნავი პროექტით, ჭკვიანურად და სინდისიერად ნაგებ ბინებში ახალ ოჯახებს ელის. გლდანში ხშირი ქარებია. დგას ქარში, მზეში, წვიმასა და თოვლში სახეშეუმკრთალი, ხალისიანი ნადია და ფრთხილად, გულდაჯერებით აზავებს ბეტონს. თუ წვიმიანი ამინდია, წყალი ნაკლები სჭირდება, თუ სიცხეა — მეტი. ბეტონი ყინვიან ამინდში ცხლად რომ ჩაისხმება, ზემოდან გადახურვაესაჭიროება. ბეტონის ხსნარს ცივ ამინდში თბილი წყლით აზავებს და ქლორსაც ურევს. ბლოკებთან ფრთხილობს, ძალიან ფრთხილობს. ზოგჯერ არ მოსწონს მათი ხარისხი. ქარხნიდან ბლოკი გამომშრალი უნდა მოდიოდეს. არ არის საჭირო „იერიშობანა" და სველი ბლოკის გამოგზავნა. ამას შეიძლება მარცხი მოჰყვეს. დასკდეს ბლოკი, ჩაიქცეს კედელი, — ანდა, როცა ბლოკი ამწეს აქვს, მაშინ მთელი ყურადღებით იცავს უსაფრთხოების წესებს. ტექნიკა დღეს მხსნელად მოევლინა მშენებლებს. სადღაა ის სიძნელეები, რომლებიც ადრე იყო...

და მაინც მძიმეა მებეტონის შრომა. ალბათ ამიტომაც არის ის ერთადერთი მებეტონე ქალთა შორის.

ამ სიძნელეს იმის შეგრძნება უმსუბუქებს, რომ სახლია ყველაზე საჭირო ადამიანისათვის, რომ იგი ერთ-ერთი თვალსაჩინო და ხილული შედეგია ადამიანთა ბედნიერებისათვის შრომისა, რომ სახლში მიმდინარეობს მთელი ცხოვრება, აქ იბადებიან, იზრდებიან, კვდებიან, სახლები უძლებს თაობებს, წლებს და საუკუნესაც. აქ იბადება აზრები, შემოქმედება, ნიჭი, სახლიდან გამოდის ყველა გზა დიდი საქმეებისაკენ, და სახლშივე იყრის თავს ეს გზები.

ერთ დღეს ნადიამ იმოგზაურა ქალაქში ტრანსპორტით და ყველა სახლი ნახა, რომლებიც 34 წლის მანძილზე ააშენა. იგი მხოლოდ ღამით მორჩა დათვალიერებას. ბოლოს, როცა გლდანის მასივიდან შინ ბრუნდებოდა, დიდხანს უყურა ელექტროშუქით განათებულ ფანჯრებს, მერე თავის მარჯვენას დახედა, ნაჯაფ, მუშურ მარჯვენას. მასში ქალური მკრთალად აღმოაჩინა და გაიცინა.

— რა ვუყოთ, სამაგიეროდ, თითქმის მთელი თბილისი მისია!

ლია კაკაბაძე

13078




# 1 აგვისტო რკინიგზელის საკავშირო დღეა

დედაქალაქის კარიბჭე — თბილისის რკინიგზის სადგური. ათასობით მგზავრი, რომელიც ჩვენს დედაქალაქში სტუმრობას აპირებს, პირველად ამ კარებიდან შემოდის. თბილისური სტუმართმოყვარეობაც აქედან იწყება. მასპინძლობის მთელი სიმძიმე დიასახლისს აწევს ხოლმე მხრებზე. თბილისის ვაგზლის უფროსის მოადგილე ლეილა გოგია გულდია დიასახლისია, რომელიც ყველაფერს აკეთებს მგზავრთა უკეთ დახვედრისათვის. თუ ჩამოსულები ისურვებენ, მათ ვაგზლის ტერიტორიაზე მყუდრო, კომფორტულ ოთახებში შეუძლიათ დაისვენონ. ბავშვიანი დედებისათვის ცალკე ოთახებია გამოყოფილი, ფეხმძიმე ქალებისათვის — ცალკე.

მგზავრებს შეუძლიათ სასურველ დროს და სასურველი მატარებლით გასამგზავრებელი ბილეთი ვაგზლის სახაზო-სადისპეტჩერო ბიუროს შეუკვეთონ. ბიურო მარტო ჩამოსულებს კი არ ემსახურება, არამედ თბილისელებსაც, რომლებიც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა მხარეში მიემგზავრებიან. აღსანიშნავია, რომ მათ ამ მგზავრობისას არ მოუწევთ სხვა სადგურებში გადასაჯდომ მატარებელზე ბილეთის აღება — ბიურო მგზავრებს უკანდასაბრუნებელი ბილეთითაც უზრუნველყოფს. ეს სიახლე რკინიგზით მგზავრობას აიოლებს და მგზავრს კარგ გუნება-განწყობას უქმნის.

ყველაფერი მგზავრებისათვის, მათი უკეთ დახვედრისა და გაცილებისათვის! — ამ ფიქრით იწყება ლეილა გოგიას ყოველი სამუშაო დღე.

# „დიდედა ხორეშანი"

(წიგნიდან „ბარათაშვილის თანამედროვენი")

ხორეშანი ერეკლე მეორის ქალის — ელენეს ასული იყო.

1784 წელს დაბადებული ხორეშანი დედით მალე დაობლებულა. ობოლი შვილიშვილი მეფე ერეკლეს სასახლეში წაუყვანია და ცამეტი წლისა დიმიტრი(ზურაბ) ორბელიანისათვის მიუთხოვებია.

დიმიტრი (ზურაბ) ორბელიანი ერეკლე მეორის კარზე დაახლოებული პირი იყო. ენამახვილი, შეუპოვარი მხედარი. იგი ერთხანს ირანის მრისხანე გამგებელს — აბას-მირზას ტყვედ ჰყოლია.

1799 წელს, ხორეშანს, ნიკოლოზ ბარათაშვილის დედა — ეფემია შესძენია, 1804 წლის 2 ოქტომბერს, — შემდეგში სახელოვანი პოეტი — გრიგოლ ორბელიანი.

1806 წელს ზაქარია დაიბადა. 1814 წელს — ილია.

ხორეშანმა შვილებს „გზა სიკეთისა ასწავლა, სული აღუვსო მარადჟამ გამოულეველი სიყვარულით და სათნოებით".

ილიას თანატოლი ტატო (ნიკოლოზ ბარათაშვილი) თითქმის მთელი დღე დიდედასთან იყო, ხშირად ღამესაც იქ ათევდა.

ერეკლე მეორის კარზე აღზრდილი ხორეშანი ყმაწვილებს, სხვა ამბებთან ერთად, ცხადია, მეფე ერეკლეზედაც უამბობდა. ბარათაშვილს პოემა „ბედი ქართლისა"-ში დიდედა ხორეშანის მონათხრობებიც უნდა ჰქონდეს გამოყენებული.

სამშობლოს მოშორებულ ვაჟთათვის ერთადერთი სანუკვარი — მშობლის ბარათი იყო.

1830 წლის 28 ოქტომბერს, დედის წერილის მიუღებლობით გულდაწყვეტილი ზაქარია ორბელიანი, ქალაქ კამენსკიდან მშობლებს შესჩიოდა: „ძალიან ვსწუხვარ დედავ! რომ თქვენი წიგნი არ მომდის. არ ვიცი რას უნდა მივაწერო. შენი ჭირიმე დედავ! გამახარებდეთ ხოლმე თქუენის წერილითა".

ზეიმი იყო ხორეშანისთვისაც შვილებისაგან ბარათის მიღება. 1831 წლის ივლისის დამლევს, დავით ყორღანაშვილი თბილისიდან გრიგოლ ორბელიანს სწერდა: „ძალიან გაეხარდა შენ დედას და აგრეთვე მთელს თქვენს უბანს შენი წიგნი რომ მიუტანე, სწორედ ერთი ტრეოგა შექნა".

1831 წლის 11 ივლისს ხორეშანმა ამ ბარათის პასუხად გრიგოლ ორბელიანს მისწერა: „შენი წიგნი მომივიდა, გმადლობთ შენი წიგნისა და ანბებისთვის. ხომ იცი, თუ შენი წიგნი დამიგვიანდა დიდად შევწუხდები: ზაქარიას წიგნს ვინღა მაღირსებს, რომ მალე მომივიდეს. შენი ამბით მაინც მასიამოვნებდე".

ზაქარია ორბელიანს კი დედის უამბობა აწუხებდა: 1831 წლის 14 აგვისტოს, ქალაქ ლიდადან, ძმას, გრიგოლს წერილი მისწერა.

სამიოდე კვირა გავიდა. ზაქარიამ მშობლისაგან აგვისტოს 26-ით დათარიღებული ბარათი მიიღო:

„უსაყვარლესო და ჩემო სიცოცხლევ შვილო ზაქარიავ!

შორს ხარ, მაგრამ შენს ამბავს არ მაკლებ, პირი ღვთისამ მოგცეს მშვიდობა, ყოვლისფრით გაცოცხლოს და გაბედნიეროს. ყოველი თქვენი შრომა და გულის წადილი აგისრულოთ.

შვილო, ახლა გრიგოლიც ცხრა ივნისს წავიდა პეტერბურხს, ჯარს გაატანეს. შენი მწუხარებით აღარ ვიყავი და ისიც წავიდა. ვარ ორ ცეცხლს შუა, თქვენი გზის მაყურებელი. უყურე, რა სიცოცხლე მექნება. შენგან მოწერილი წიგნები გრიგოლს გავუგზავნე".

კვირაა. საღამო ხანს დავით ყორღანაშვილი ხორეშანს ეახლა. ჯიბეში გრიგოლ ორბელიანის ბარათი უდევს, უნდა გადასცეს, გაახაროს. შინ არ დაუხვდა. უთხრეს ყაბახზეაო, ყაბახს მიაშურა და... იმავე საღამოს — 1831 წლის 27 აგვისტოს, გრიგოლს მისწერა: „შენი წიგნი კვირას ბინდისას მოვიტანე თქვენსა. დედაშენი, ნინო და სხვა ქალები ყაბახზე დაიარებოდნენ. მივეც წიგნი, საკურვლად იამათ".

გავიდა ხანი. ვაჟების ბარათებმა კვლავ დაიგვიანეს. ისევ შეშფოთდა ხორეშანი. დღეები თვეებად, წლებად უჩანდა და აი, ტულიდან გრიგოლის წერილი მოუვიდა, რომელიც დავით ყორღანაშვილის სახელზე იყო გამოგზავნილი.

ბარათის მიღებით გახარებული ხორეშანი 1831 წლის 5 ნოემბერს საპასუხოდ გრიგოლს სწერდა:

„ჩემო სიცოცხლევ შვილო გრიგოლ! ღმერთსა ვთხოვ შენს და შენის ძმის მშვიდობით ხილვას და ბედნიერებას.

შენი წიგნი მამივიდა ტულიდამ. მადლობა ღმერთსა მშვიდობით იმყოფებით, გავიგონეთ თქვენს ჯარში ხოლერა ყოფილა, როგორ არ მამწერე? თუ შენი წიგნი არ მამსვლოდა, არ ვიცი რა დამემართებოდა მწუხარებისაგან. შენმა წიგნმა სულზე მომისწრო.

ღმერთმა დაუმადლოს დავით ყორღანოვს ყოველთვის შენს წიგნს ის მომიტანს ხოლმე და ჩემს წიგნებსაც შენთან ის გზავნის.

სამი თვე არის, ზაქარიასი არა ვიცი რა. არც წიგნი მომსვლია, არა ვიცი რა ჩემი უბედურების. გონება აღარა მაქვს მწუხარებისაგან. ჩემი ნუგეში მხოლოდ ტირილი არის, სხვა არაფერი".

პეტერბურგში რომ ჩავიდა გრიგოლ ორბელიანი, მან ან ვერ მოიცალა ბარათის დასაწერად, ანდა მისი წერილი გზაში დაიკარგა და მოთმინებიდან გამოსულმა ხორეშანმა 1831 წლის 12 ნოემბერს თავად მისწერა გრიგოლს ბარათი:

„არ ვიცი რა ჩემი უბედურება არის, რა მიზეზი არის შენგან ჩემი სულ დავიწყება. გზიდამ ყოველს მწერდი წიგნსა, რაც პეტერბურხს მიხველ, შენი წიგნი აღარ მამსვლია. პეტერბურხმა გაგაამპარტავნა თუ დიახ ცივი ქვეყანა არის, უთუოდ გულიც ცივი შეგექმნებოდა...

ზაქარიასაგან ორჯერ მოვიდა წიგნი... მივწერე და შენც გწერ: თუ შეიძლებოდეს, ახლა რომ ერმოლოვი კარგად მიღებული ყავს ხელმწიფეს, ზაქარიაც მოვიდეს მანდა და შენც უნახავს ნუ დააგდებ.

ერმოლოვს თქვენი ნახვა ეამება. თქვენც შესჩივლეთ თქვენი დაობლება და ყოველი თქვენი მწუხარება. მორცხვობაზე ხელი აიღევით, იქნებ შეგეწიოთ".

1829-1831 წლებში ამიერკავკასიაში სენატის რევიზია იმყოფებოდა პ. ი. კუტაისოვის, ე. ი. მეჩნიკოვის და სხვა მოხელეთა შემადგენლობით. „რევიზიამ შეისწავლა კავკასიის ადმინისტრაციული მმართველობა და სააშკარაოზე გამოიტანა ის საშინელი უკანონობა და ქაოსი, რომელიც ამიერკავკასიაში ცარიზმის მმართველობის რეჟიმის დროიდან იყო გამეფებული".

კავკასიაში სარევიზიოდ ჩამოსულ სენატის მოხელეთა უმეტესობა, პეტერბურგის მოწინავე ინტელიგენციას ეკუთვნოდა.

თბილისში ისინი ბინად ხორეშან ორბელიანთან მდგარან.

ხორეშანი შემდეგ მათ მეტად გულთბილად იგონებდა. 1831 წლის 12 ნოემბერს თბილისიდან პეტერბურგში გრიგოლ ორბელიანს ავალებდა: „ჩვენთან რომ სენატორის მწერლები იდგნენ ჩემს მაგიერ მოიკითხე და ილიკოს მაგიერადაც".

არაფერი ვიცით, ინახულა თუ არა გრიგოლ ორბელიანმა ყოფილი მდგმურები.

ხორეშანის სტუმრობა თავგამოსაჩენი იყო და ამიტომაც ბევრნი ეპატიჟებოდნენ. 1832 წლის 15 სექტემბერს დავით ყორღანაშვილი თბილისიდან გრიგოლ ორბელიანს ატყობინებდა:

„წლევანდელისთანა ლხინები სულ არ ყოფილა. რიგის პურსავით ყველას კამპანია·

გამართული აქვსთ და სულ ბაღებში. ზეგ, ესე იგი შაბათს, მე მყავნან დაპატიჟებულნი ბაღში ვახშმად და კვირას სადილად: ნინო, თარხანიანთ სალომე დედითურთ, ჩვენი დედა ხორეშან, ელისაბედ, ყორხმაზის და სოფიო თავის ქმრით, გრიგოლ ბარათოვი და სტეფან ოსიფიჩის ცოლი.

კაცები: ბატონი იაკობ, იაგორ სტეფანიჩი, გერასიმა, ყორხმაზ, ანდრია და სხვა ახალი დრუგები, რომელსაც შენ არ იცნობ".

ამაგდარი, შვილებზე გადაგებული ხორეშანი 1833 წლის გაზაფხულზე მიიცვალა.

1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ნოვგოროდიდან ბადრაგით „ავლაბრის ყაზარმაში" ჩამოყვანილი გრიგოლ ორბელიანი, თავისი საკანის ჭუჭრუტანიდან უყურებდა, როგორ მიასვენებდნენ საყვარელ დედას. ხედავდა კუბოს მიჰყვებოდნენ: მოქვითინე ეფემია, წარბშეკრული მელიტონ ბარათაშვილი, მტირალი ილია და ტატო, ნათესავები, მეგობრები, მეზობლები, ნაცნობები. გელშელტისადმი მიმართულ ბარათში ურვით აღვსილი გრიგოლ ორბელიანი წერდა:

„სწრაფად მივფრინდი ტფილისს, მაგრამ უფრო სწრაფად ავლაბრის ყაზარმებში ამოვყავი თავი, სადაც სამი თვე ვიჯექ...

სწორედ ამ დროს დედაც მომიკვდა. ვხედავდი ჩემი ფანჯრის პატარა ჭუჭრუტნიდან, როგორ გაასვენეს მისი კუბო.

მტერსაც კი არ უსურვებ გამოსცადოს ჩემი ტანჯვა. ქვად ვიქეც, ყველა დავივიწყე, დედის სიკვდილიც კი და რამდენსამე დღეს უჭმელ-უსმელი, უძილო და უტყვი ვიყავი, ცრემლი არ გადმომიგდია.

რამდენიმე დღის შემდეგ გამიშვეს კიდეც; თითქოს დედის სიკვდილით მეყიდოს ეს თავისუფლება.

მამის სახლი დაცარიელებული და დამწუხრებული დამხვდა. ღამე, მთვარის შუქზე, თვალცრემლიანი ვეამბორე დედის საფლავს".

ზაქარია ორბელიანი ამ დროს სამშობლოს გარეთ, სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა და დედის გარდაცვალების ამბავი არ იცოდა.

დამალვა აღარ შეიძლებოდა და 1833 წლის 11 სექტემბერს „ნაყაზარმალმა" გრიგოლ ორბელიანმა თბილისიდან ძმას მისწერა: „ღმერთსა ენება მოვლენა თავზედა ჩვენსა უბედურებისა, რომელიც მიძნელდება მოწერა. თვალნი მევსებიან ცრემლითა, მარამა დამალვაცა შენგან შეუძლებელია. დედა ჩუენი არღა არს ამა სოფელსა".

სულ მალე გრიგოლ ორბელიანი „ნევის საზღვაო პოლკში" გაამწესეს, რომელსაც სადგური ვილნოს გუბერნიაში ჰქონდა.

მარტოდ დარჩენილი ილია ორბელიანი დამ — ეფემიამ თავისთან გადმოიყვანა და დედობას უწევდა.

ასეთია ცნობილი და უმეტესად უცნობი ბარათებით აღდგენილი მკრთალი სახე ხორეშანისა, რომლის მთელი სიცოცხლე მარტოოდენ შვილებზე ზრუნვა, შფოთვა და წუხილი იყო.

იაკობ ბალახაშვილი

წ ა რ ს უ ლ ი დ ა ნ



# შეხვედრა

1931-38 წლებში საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის სექციაში ვმუშაობდი. ბევრი კარგი მოგონება გამოჰყვა ხსოვნას იმ დიდებული სახლიდან. ერთი მათგანი მინდა მოგითხროთ, ვფიქრობ, ,,საქართველოს ქალის" მკითხველებს დააინტერესებს.

1934 წელს, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით, საბავშვო ლიტერატურის განვითარებისა და მწერლებისათვის ხელის შეწყობის მიზნით, მწერლები შემოქმედებითი მივლინებებით უნდა გაეგზავნათ. ოღონდ, მწერლებს თვითონ უნდა შეერჩიათ მივლინების ადგილი. ერთხელ თვითონ დიდებული გალაკტიონ ტაბიძე დაინტერესდა მივლინებაში წამსვლელ საბავშვო მწერალთა სიით. სია მივართვი. კითხვისას უცებ შეჩერდა, ხშირი წარბები ზევით შეხარა და გაკვირვებით მკითხა. — როგორ, ქალბატონი ეკატერინეც აპირებს წასვლას? სადღა შეუძლია?..

— ქალბატონმა ეკატერინემ პირადად დამავალა-მეთქი. — მოვახსენე. თქვენ ალბათ მიხვდით, რომ ჩვენი საუბარი იმხანად უკვე ხანდაზმულ ეკატერინე გაბაშვილს ეხებოდა. მართლაც, ეკატერინე გაბაშვილმა დამავალა სიტყვა-სიტყვით გადამეცა მწერალთა კავშირის მაშინდელი ხელმძღვანელობისათვის:

,,გავიგე და დიდად გავიხარე, ეს ღონისძიება ნამდვილად დაეხმარება ჩვენს საბავშვო მწერლობას. დამდეთ პატივი და, თუ შეიძლება, მეც გამგზავნეთ შემოქმედებით მივლინებაში — ,,სამთავისის კომუნაში" მინდა წასვლა. მინდა, სანამ ცოცხალი ვარ, ჩემი თვალით ვნახო კომუნა. მე ხომ ვეღარ მოვესწრები დედამიწაზე კომუნიზმის დამყარებას"...

პოეტთა მეფე — გალაკტიონი აღაფრთოვანა მხცოვანი მწერლის ენთუზიაზმმა:

— მაშ, ასე თქვა? მართლა ასე თქვა? უეჭველად უნდა ვინახულო ქალბატონი ეკატერინე, უეჭველად!

— ბატონო გალაკტიონ, — მოკრძალებით შევბედე, — თქვენც ხომ არ ინებებთ ჩვენი პატარა მოქალაქეების გახარებას?

— ოო, მე დიდ ვალში ვარ ჩვენი პატარების წინაშე. მაგრამ, არა უშავს. დაიზრდებიან და ჩემი პოეზია წინ დახვდებათ. — ესა თქვა თავისი ლამაზი ღიმილით და ოთახიდან გავიდა.

კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ. ერთხელ, ქალბატონ ეკატერინესთან მიმავალს, გზად გალაკტიონ ტაბიძე შემომხვდა. მობოდიშებით მითხრა, ამდენ ხანს ვერ მოვიცალე, რომ მხცოვანი მწერალი ქალი მენახა. ახლა, მეც თქვენთან ერთად წამოვალო.

ეკატერინე გაბაშვილი თავისივე სახელობის ქუჩაზე ცხოვრობდა, სწორედ იმ სახლში, სადაც ერთ დროს ჭრა-კერვის უფასო სკოლა ჰქონდა გახსნილი და თვითონაც იქვე მასწავლებლობდა.

სახეგაბრწყინებული კარებშივე შემოეგება დიდებულ სტუმარს. მგოსანი მოწიწებით ეამბორა ხელზე ღვაწლმოსილ მასპინძელს. მან კი, ჯერ შუბლზე აკოცა პოეტს, შემდეგ დედაშვილურად გადაეხვია. ქალბატონი ეკატერინე უკვე დაბრუნებულიყო შემოქმედებითი მივლინებიდან და წერასაც შედგომოდა. ეს ნაწარმოები შემდეგში ,,სამთავისის კომუნის" სახელწოდებით დაიბეჭდა. მასპინძელი გატაცებით უყვებოდა ძვირფას სტუმარს სამთავისის შთაბეჭდილებებს. ასე, გულითად საუბარში გართული დავტოვე ორივე და კარი ფრთხილად გამოვიხურე.

წამოველ და, თან სამარადისო სურათად, მშვენიერ სურათად გამომყვა მათი შეხვედრა. ახლაც თვალწინ მიდგას ის საგანგებო ხილვა: მხცით შემოსილი, ვალმოხდილი, ამაგდარი მანდილოსანი და მშვენიერი, უკვე დიდების კვარცხლბეკზე შემდგარი ჭაბუკი გალაკტიონი!

სალომე ბუზარიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სადედამთილო ბარათები

ჩვენი ჟურნალის ა. წ. მარტის ნომერში დაიბეჭდა უმისამართო ბარათი, სადაც ავტორი — დედამთილი თავის გულისტკივილს გამოთქვამდა ვაჟიშვილსა და რძალზე. ამ საკითხზე რედაქციამ დიდძალი გამოხმაურება მიიღო. გვწერენ დედამთილები, სიდედრები, ვაჟიშვილები, რძლები... ვბეჭდავთ რამდენიმე ბარათს.

***

„წავიკითხე თქვენს ჟურნალში გამოქვეყნებული წერილი, რამაც ძალზე მატკინა გული, ალბათ იმიტომ, რომ მე უფრო ცუდ მდგომარეობაში ვარ. რძალმა გარეთ გამაგდო, შვილიშვილს ჩემთან არ უშვებს. მე უფლება წამერთვა, როგორც სხვა ბებიებს, ჩემი შვილიშვილის ტიტინით დავტკბე.

ამ ბოლო დროს დედამთილებისა და რძლების ურთიერთობაში ბზარი ჩნდება. დედამთილები ხშირად ვმსჯელობთ ამ საკითხზე, ვეძებთ გზას, ზოგჯერ ვოცნებობთ კიდეც: რა კარგი იქნებოდა სასწავლებლებში, ზედა კლასებში კვირაში ერთი საათი მაინც აღზრდის საკითხებს დაეთმოს, სადაც ახალგაზრდები ისწავლიან როგორ მოიქცნენ, როდესაც ოჯახს შექმნიან. ეს ხომ მათი მომავალი ცხოვრების ყველაზე საჭირო „საგანი" იქნება".

**დედამთილი** თ. ჰ.
**გურჯაანი.**

***

„ჩემმა მეუღლემ ოჯახში მიყვანისთანავე ასე გამომიცხადა:—ჯერ დედა მიცვნია, მერე ცოლიო". დედამთილი წარბშეკრული შემხვდა და ყველაფერი ამიკრძალა. მეზობელთან გასვლაც არ შემეძლო. შეიძლებოდა მხოლოდ მათი ნათესავი მიმეღო, ჩემს ახლობლებზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო.

სანთელივით ვდნებოდი, მაგრამ დარდს არავის ვუმხელდი და ყველაფერს ვითმენდი. ვცდილობდი დედამთილისათვის არაფერი მეწყენინებინა. მის ასეთ ხასიათს მოხუცებულობას ვაწერდი. ის კი, როგორც მეუღლე სამსახურიდან მოვიდოდა, ჩემს დახასიათებას შეუდგებოდა, მოჰყვებოდა დღის განმავლობაში თუ რამე დამრჩენოდა გაუკეთებელი ან მეზობლისთვის ხელი თუ გამემართა. რა უნდა მეთქვა?

არ ვიცი, ჩემმა კარგმა ხასიათმა თუ კეთილმა მოპყრობამ დედამთილი თანდათან შეცვალა. დღეს „უშვილოდ" სიტყვას არ მეტყვის და ჩემს მზეს ფიცულობს. საოცარია, რომ მეც ჩემს თავს ვეღარ ვცნობ. რამდენი განსაცდელი ავიტანე და დედამთილი მაინც მიყვარს, ვაფასებ და რჩევას ვთხოვ. საყიდელს ჯერ მისთვის ვყიდულობ, მერე—ჩემთვის. სადილს მისი გემოვნებით ვაკეთებ. მეზობლები ჩვენს რძალ-დედამთილობას შემონატრიან.

მომავალი დედამთილი ვარ და წინასწარ არ ვიცი რა ბედი მელის. მაგრამ მე ამისი სულაც არ მეშინია. უხასიათო დედამთილთან გამოვნახე საერთო ენა და, ვფიქრობ, რძალსაც შევეწყობი.

მთავარია, თავს შთააგონო და ადამიანი არ შეიჯავრო, სიყვარულს ყველაფრის პატიება შესძლებია".

**რძალი ი. გ.**
**ბორჯომი.**

***

„მე და ჩემი ოთხი და ტკბილად ვიზრდებოდით ერთად. გვყავდა მოსიყვარულე დედა. მაშინ მეზობლები და ნათესავები მეც მეძახდნენ კარგ ვაჟს, მაგრამ ეს ჩემს დაოჯახებამდე იყო...

ცოლის ქება აუგიაო, და მე მაინც მინდა ვთქვა: ჩემი მეუღლე ისეთი ქალი არ არის, რომ დედამთილს ან მულებს (ოთხივე დაოჯახებულია) აწყენინოს, მაგრამ დედაჩემმა ჩემგან ცალკე ცხოვრება არჩია (მასთან ქალიშვილები და სიძეები ცხოვრობენ). რძალი ძალაუნებურად დაპირისპირებული აღმოჩნდა ათ ადამიანთან, რომლებიც ხშირად უმიზეზოდ ეჩხუბებიან. მე მათს უკანონო ქცევაზე პასუხის გაცემაც არ შემიძლია, რადგანაც დედაც და დებიც რძალს აბრალებდნენ ყველაფერს და მებუტებიან. დედაჩემი ვერ ამჩნევს, თავისი მოქმედებით რა დიდ უფსკრულს აჩენს ჩემსა და დებს შორის.

მე ყველაფერს ვერ ვწერ. ოთხი ქალიშვილის დედას, რომელსაც ოთხივე გვერდით ჰყავს, რძალი აღარ მოსწონს. მაგრამ დედას მთავარი ავიწყდება; სხვისი შვილიც ისეთივე ადამიანია, როგორც თავისი შვილები და, ნათესავებს შორის კარგ დამოკიდებულებას გაფრთხილება უნდა.

გული მტკივა საკუთარ დედაზე, რომელიც ჩემთან ახლოს ცხოვრობს და ჩემსას ვერც გაჭირვებას ხედავს და ვერც დალხინებას. მეც მაქვს სურვილი, კარგი შვილი ვიყო და დედა სიძესთან კი არ ცხოვრობდეს, არამედ ერთადერთ ვაჟთან".

**ვაჟიშვილი ვ. ზ.**
**თბილისი.**

# გოლით, ამჯერად, ჯენტლმენობას მოვეშვათ

ძალიან დიდ პატივად მივიღე, როცა ჟურნალმა „საქართველოს ქალმა" სპორტზე პოპულარული წერილის დაწერა შემომთავაზა. თუმცა, ამ წინადადებამ საფიქრალიც გამიჩინა: მოეწონებათ თუ არა ქალებს ის სტილი, რომლითაც იბეჭდება მამაკაცთათვის განკუთვნილი სპორტული წერილები და ნარკვევები. ჟურნალის მკითხველები გაიოცებენ — განა არსებობს ჩვენში მხოლოდ ძლიერი სქესისათვის განკუთვნილი პერიოდული გამოცემები, ჟურნალ-გაზეთებიო? საქმეც ის არის, რომ არ არსებობს, მაგრამ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს სპორტული პრესა მხოლოდ და მხოლოდ მამაკაცებისთვის ზრუნავს, მაშინაც კი, როცა საუბარი ქალთა ასპარეზობებს ეხება. ვფიქრობ, ეს მომენტი შეუმჩნეველი არ უნდა დარჩენოდათ ქალთა ჟურნალის მკითხველებს, მაგრამ რით უნდა აიხსნას, რომ თვით „საქართველოს ქალიც" ნაკლებ ადგილს უთმობს თავის ფურცლებზე ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებს? პასუხი ერთი შეიძლება იყოს: ან საქართველოში „გადაშენდნენ" კვალიფიციური სპორტული ჟურნალისტები, რომელთაც ხელეწიფებათ საინტერესო, მიმზიდველი თხრობა სპორტის წარმტაც სამყაროზე, ანდა მიზეზი თავად ქალთა სპორტის თითქმის კატასტროფული ჩამორჩენაა. კაცმა რომ თქვას, ვინ არის დღეს ქალთა სპორტის თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომელსაც უნარი შესწევს უჩვენოს თავისი ძალა საერთაშორისო და საკავშირო ასპარეზზე? საამისოდ საკმარისია დაკვირვებით თუ გადავხედავთ

ოლიმპიური თამაშების კანდიდატთა სიას. ალბათ ქართული სპორტის ისტორიას ჯერ არ ახსოვს, რომ ჩვენს რესპუბლიკას ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში წევრი თუ არა, კანდიდატი მაინც არ ჰყოლოდა. ეს მეტისმეტად საგულისხმო, უფრო სწორად, ან, უფრო მკაცრად, — დასაღონებელი, შემაშფოთებელი სიგნალია. იგი მოწმობს ქალთა სპორტის მასობრიობის დაქვეითებას, მწვრთნელთა უუნარობას, უმაღლესი სპორტული შედეგებით სპორტსმენთა დაუინტერესებლობას. იგი მოწმობს, რომ ჩვენმა ქალაქებმა და სოფლებმა, სპორტდარბაზებმა და სტადიონებმა, ცისფერმა ბილიკებმა ვერ მოგვცა, ვერ გამოგვიზარდა ერთი ქალი მაინც, რომელიც საბჭოთა ქვეყნის, თავისი სამშობლოს სახელს დაიცავდა შორეულ მონრეალში. თუ ეს ქართული სპორტის ბოლო ათწლეულის ქრონიკული კრიზისის დასასრულია, ამას კიდევ შევურიგდებოდით, მაგრამ უკეთესობა რომ არა ჩანს, არ იძვრის სპორტული რეკორდების აღმნიშვნელი გაყინული შკალა, რომ ვერ ვხედავთ განთქმული სპორტსმენი ქალების — ალექსანდრა ჯაფარიძის, ნინო დუმბაძის, ნადეჟდა დვალიშვილის, ელენე გოკიელის, ალისა ასიტაშვილის, თინათინ ლეკვეიშვილის და სხვათა ღირსეულ ცვლას? არავითარი ინფორმაცია, საგულდაგულოდ მომზადებულ სტატიებსა და წერილებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, არ იბეჭდება პრესაში ქალთა ფიზკულტურასა და სპორტზე, თითქოს იგი საერთო ეროვნული სპორტის თავისებური გერი იყოს. ამას ზოგჯერ ხუმრობით მამაკაცურ ჯენტლმენობად მიიჩნევენ — აქაოდა, ქალთა სპორტის განვითარებას ბევრი დაბრკოლება ეღობება, მაგრამ მამაკაცური თავაზიანობა მათზე საუბრის ნებას არ გვაძლევსო. წარმოიდგინეთ, ეს უადგილო, მფარველური — სახუმარო ტონი გაისმის თვით ავტორიტეტულ სპორტულ თავყრილობებზე. ბოლოს და ბოლოს, ქალთა სპორტის პრობლემები ერთგვარ ნაკრძალად გამოცხადდა, სადაც კრიტიკამ და ობიექტურმა განსჯა-ანალიზმა შეხედვითაც კი ვერ შეიხედა.

პრობლემები კი საკმარისზე ბევრია. ოლიმპიურ თამაშობებზე უკვე მოგახსენეთ. მას, მსოფლიო ოლიმპიადას, ტრადიციულად წინ უძღვის საკავშირო სპარტაკიადა. და აი, სწორედ შარშანდელმა სპარტაკიადამ ნათლად დაგვანახა, რის უნარიც შეგვწევს, რა თქმა უნდა, სპარტაკიადა, უპირველესად, ვაჟმა სპორტსმენებმა შეაგეს, მაგრამ ქალთა გამოსვლამ, საერთოდ, ყოველგვარი იმედი გადაგვიწურა. გარდა სამი-ოთხი სპორტსმენისა (მათ შორის გამოირჩეოდნენ მოჭადრაკეები, ეგრეთწოდებული ხელოვნებასთან წილნაყარი სპორტის სახეობის წარმომადგენლები), თავი არავის გამოუჩენია. ქულათა მინიმალური რაოდენობა—აი, ასე შეიძლება ორიოდე სიტყვით შევაჯამოთ ქალ სპორტსმენთა სასპარტაკიადო შედეგი.

ჩვენმა მკითხველებმა უთუოდ იციან, რომ საკავშირო სპარტაკიადა მხოლოდ ჩემპიონის ოქროს მედლები, რეკორდები და ქულები როდია. სპარტაკიადა მკაფიოდ ასახავს ფიზკულტურისა და სპორტის მდგომარეობას ამა თუ იმ რესპუბლიკაში, მათ ძლიერსა და სუსტ მხარეებს. თუ ჩვენს ქალთა სპორტს ამ უმაღლეს და უსწორეს საზომს მივუყენებთ, აღმოჩნდება, რომ ჩვენი სპორტი კოჭლობს. იქნებ ეს არაესთეტიკური სიტყვა ყურს ჭრის სპეციფიკურ მკითხველ აუდიტორიას, მაგრამ რა ვუყოთ, თუ იგი ყველაზე ზუსტად გამოხატავს საქმის ვითარებას? ჰოდა, სპარტაკიადამ გვიჩვენა, რომ ჩვენი ქალები განსაკუთრებით ჩამორჩნენ მძლეოსნობაში, კალათბურთში, ფრენბურთში, ცურვაში, ხელბურთში... განსაკუთრებით საწყენია ჩვენი ქრონიკული ჩამორჩენა კალათბურთში. ქალთა კალათბურთი არცთუ დიდი ხნის წინათ საქართველოში კონკურენციას უწევდა სპორტის ყველაზე პოპულარულ სახეობებს, იგი სამართლიანად ითვლებოდა ახალგაზრდობის საყვარელ თამაშად, დღეს კი პირველი ლიგის საშუალო გუნდიც არ არის რესპუბლიკის უძლიერესი კოლექტივი. მწვრთნელის სასწრაფოდ შეცვლამ საქმეს ვერ უშველა. და მაშინ ყველა მიხვდა, რომ ქალთა კალათბურთის განვითარებას ერთი და ორი პიროვნება კი არ ემსახურება, არამედ სპორტის ამ სახეობაში გამეფებული ქაოსი და არაორგანიზებულობა. ნაკრების მწვრთნელი სასწაულმოქმედი როდია, მისი გუნდი გოგონათა კალათბურთიდან მოსული ნიჭიერი სპორტსმენებით უნდა ივსებოდეს. მაგრამ გოგონათა გუნდს — რესპუბლიკის საუკეთესო კოლექტივს — ნაკრებს თითქმის არა ჰყავს გადამცემები და ამიტომ სასურველ შედეგს ვერ იძლევა. არ გვინდა ისე გავიგოთ, თითქოს მწვრთნელის გამართლება გვინდოდეს, არც მან დააყარა გუნდს ხეირი სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდში, მაგრამ უსამართლობა იქნებოდა, მწვრთნელის მიღმა უფრო სერიოზული მიზეზები ვერ დაგვენახა ჩამორჩენის ნათელსაყოფად.

კალათბურთი ისე, სიტყვაზე გამოვიტანეთ სააშკარაოზე, თორემ ქალთა სპორტის ნებისმიერ სახეობაზე, გარდა ჭადრაკისა და ტანვარჯიშისა, იგივე შეიძლებოდა გვეთქვა. სპორტული გამოცემებიდან, რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთებიდან გამუდმებით შემოგვცქერიან უცხოელი ქალი სპორტსმენები. ისინი იმ ადგილს იკავებენ, რომლებიც ჩვენი ქალებისათვის უპრიანია. მაგრამ გულახდილად ვთქვათ: მოჭადრაკეთა გარდა ქართველი სპორტსმენი ქალებიდან ვინ გვახარებს, ვინ არის ღირსი, რომ პოპულარული სპორტული გამოცემების ფურცლებზე მოხვდეს? სამწუხაროდ, მხოლოდ თითო-ოროლა, კანტი-კუნტად.

ნიშნავს თუ არა ყოველივე ეს, რომ ჩვენში ნელი ტემპით ვითარდება „ემანსიპაციის“ პროცესი? სიტყვა ემანსიპაციას განზრახ ვსვამთ წინწკლებში, რადგანაც ჩვენი ქალები დიდი ხანია ემანსიპირებულნი არიან. მაგრამ, როგორც უკვე მიხვდით, ამ სიტყვას პირობითი მნიშვნელობით ვიყენებთ. ჩვენი ქალების, გოგონების უმრავლესობისათვის სტადიონების მწვანე სამოსი, სარბენი ბილიკები, ცისფერი აუზები, სპორტდარბაზები უცხო ხილია, რადგანაც ზოგიერთი კონსერვატორი მშობლის აზრით ეს სამყარო (სპორტული), რა თქმა უნდა, ქალებისთვის შესაფერისი არ არის. ენაც კი არ გვიბრუნდება რაიმე საწინააღმდეგო ვთქვათ ამ მკაცრად მცდარი აზრის წინააღმდეგ. ეს შეხედულება ჩვენს დროში დაახლოებით ისეთ უტანელ ანაქრონიზმად ჩანს, როგორც თავის დროზე ჩადრის ტარება. საინტერესო ის არის, რომ მცდარ შეხედულებას წლითიწლობით მიმდევრები კი არ ელევა, პირიქით, თითქოს ემატება კიდეც. მავნე ტენდენციამ მარტო ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომ დანერგვა-განვითარებას კი არ შეუშალა ხელი, არამედ, რაც მთავარია, აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა თვით ჩვენი ქალების ჯანმრთელობის გაკაჟებას. ჩვენ, რატომღაც, ნორმალურად და ბუნებრივად გვეჩვენება, როცა ქართველი ქალი, ოცდაათი წლის ასაკს მიახლოებული, მკვეთრად იმატებს წონაში და ჰკარგავს აქტიური მოძრაობის უნარს. თითქოს „სოლიდურიც“ კი არ არის, როცა ამ ასაკის ანდა უფრო წლოვანი ქალი სპორტული აღნაგობით გამოირჩევა. ყველაზე „შეგნებული“ ნაწილი დიეტას, ანუ შიმშილობას არჩევს. მაგრამ ეს გზა დიდი ხანია დაგმო მედიცინამ, რა თქმა უნდა, ფიზკულტურისა და სპორტის სასარგებლოდ. მახსოვს, ახალზელანდიელ გარტ გილმორის განთქმული წიგნი „რბენა სიცოცხლისთვის“ რომ გამოვიდა, ბევრ მეგობარ ქალს გავუწიე რეკომენდაცია, ყურადღებით წაიკითხეთ და მის ავტორს დაუჯერეთ — მეთქი. გარწმუნებთ, ყოველმა მათგანმა რომანივით გადაიკითხა გილმორის თხზულება, მაგრამ არცერთს (ისინი კი, არავითარ შემთხვევაში ჩამორჩენილ, გაუნათლებელ ქალებად არ შეიძლება მივიჩნიოთ) სერიოზულად არ უფიქრია დღეში ათი-თხუთმეტი წუთი მოეხმარებინა ვარჯიშისათვის, რაც, გილმორის აზრით, საკმარისია ჯანმრთელობის გასაკაჟებლად. „რას იტყვის ოჯახი, რას იტყვიან ნაცნობები, მეგობრები და ბოლოს... უცნობები“ — აი, დაახლოებით ასეთი იყო მათი პოზიცია.

მე ვიცნობ ერთ ოჯახს. ოჯახის უფროსი არქიტექტორია, მეუღლე — კინორეჟისორი, შვილები — მოსწავლეები. ოჯახი მთელ თავისუფალ დროს, ანდა ამ დროის დიდ ნაწილს ჩოგბურთის კორტზე, ბაკურიანის თოვლიან ფერდობებზე, ტურისტულ ლაშქრობებში და მოგზაურობაში ატარებს. გარდა იმისა, რომ სპორტისა და მოგზაურობის სამყაროსკენ ოჯახის ეს ერთობლივი ლტოლვა თავისთავად დიდი სიკეთეა, — ჯანმრთელობის უებარი წყაროა, ესთეტიკური სიამოვნების მომგვრელი რამ არის. ფიზკულტურა და სპორტი ისეთივე სიამის წყაროა შვილებისთვის, როგორც მშობლებისთვის. სხვათაშორის, შვილები გოგონები არიან. იცით, რად უღირთ ოჯახის მუდამ მოუცლელ წევრებს თავისუფალი დროის გამონახვა? მაგრამ ისინი მაინც პოულობენ ამ დროს. მშობლებმა თავის დროზე აჯობეს ზოგ-ზოგის ირონიულ ღიმილს და სპორტის გზას მარტო თავიანთი თავი კი არა, შვილებიც გაუყენეს. რა თქმა უნდა, ასეთი ოჯახი ცოტა არ არის, მაგრამ არც ბევრი გახლავთ, და ყველაზე მეტად სწორედ ესაა სამწუხარო.

არჩილ გოგელია

## ხელმარჯვეთათვის

ეროვნული
ბიბლიოთეკა



1

# ქარგვის პირველი გაკვეთილი



2



3



4



5

ნაქარგი სახეების გამოსახვის ტექნიკა ნაირსახოვანია და თავისებურ წესებს ემორჩილება.

აკად. ივანე ჯავახიშვილი ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით აღნიშნავდა, რომ ძველ საქართველოში კერვის სხვადასხვა ხერხი და სახე არსებობდა, რომელთაგან ზოგიერთმა საუცხოო ნიმუშმა ჩვენამდეც მოაღწია.

მხატვრული კერვის დროს, ერთი და იგივე სახის შესრულებისას, სხვადასხვა სახის ნაკერს იყენებდნენ. აქედან გამომდინარე, ჩვენ უპირველესად შევეცდებით დავეუფლოთ მხატვრული კერვის (ქარგვის) ზოგად წესებს. დავიწყებთ ყველაზე მარტივით. ეს არის „ლამბის ნაკერი“, „გვირისტი“, „წყალი“ და ა. შ.

ძველად კერძო-საოჯახო სკოლებსა თუ ხელსაქმის შემსწავლელ სხვა ტიპის სასწავლებლებში თავდაპირველად კერვის ელემენტარულ წესებს ეუფლებოდნენ. ამისათვის, სპეციალურად, ცალკე ჰქონდათ მცირე ზომის (დაახლოებით 30, 40, 50 სმ. სიგრძის) სელის ან ბამბის თეთრი ფერის ქსოვილი, რომელზეც ასრულებდნენ მხატვრული კერვის—ქარგვის ნიმუშებს. ეს ერთგვარი საკარჯიშო, მხატვრული კერვის ანბანი იყო, როცა ხელს კარგად გაივარჯიშებდნენ, ნაქარგით ამკობდნენ სამოსელსა და დეკორაციულ ნივთებს.

გირჩევთ თქვენც, რა თქმა უნდა, ვინც პირველად სწავლობს ქარგვას, აიღოთ ტილოს ან ბამბის ქსოვილი და ჯერ მასზე ივარჯიშოთ.

კერვის ყველაზე პირველადი და უმარტივესი სახეა **„ლამბის ნაკერი“**. ლამბის ნაკერი საკერავი ნემსით სრულდება, და თანაბარი ზომის წყვეტილი ხაზების მწკრივით გამოისახება. წყვეტილი ხაზებისათვის საჭირო ფერადი ძაფით თანაბარი ზომის დაცილებით ნემსს ქსოვილში უყრით. (სურ. 1) გაგაქვთ ძაფი, რის შედეგადაც ორივე მხრიდან წყვეტილი ხაზების მწკრივი იქმნება. ლამბის ნაკერი სახის მოსანიშნავადაც გამოიყენებოდა და შესამკობადაც. მხატვრული კერვისას ზოგიერთ დეტალს ამგვარი წყვეტილი ხაზებით გამოსახავდნენ. ფერადი ძაფებით შექმნილი წყვეტილი ხაზების მწკრივი დღესაც დაამშვენებს ტანსაცმლის დეტალებს: საყელოს, მაჯებს, ჯიბესა და კალთის კიდეებს. ამგვარი ნაკერით შესაძლებელია სხვა მხატვრული სახეების გამოსახვაც.

**გვირისტის ნაკერიც** თანაბარი ზომის ხაზებით გამოისახება. ამ შემთხვევაში თითოეული ხაზი ერთმანეთთან დაცილებული კი არ არის, ერთიმეორეს გაბმით მიჰყვება. ქარგავთ საკერავი ნემსით. თითოეული ხაზის კერვისას ჯერ ნემსი უკან ჩაეყრება — იქ, სადაც წინა ხაზი თავდება და შემდეგ ნემსი ქვემოდან ორი ხაზის მანძილზე წინ ამოეყრება (სურ. 2), კერვის პროცესიდან გამომდინარე, ამგვარ ნაკერს ძველად „უკანგდებით კერვა“ ეწოდებოდა. ძველად, ჩანს გვირისტის რამდენიმე სახესხვაობა არსებობდა, რადგან ქობის გვირისტს „ნიზბი“ ერქვა. ამგვარი ნაკერით ძველად ტანსაცმელს კერავდნენ კიდეც და ამკობდნენ კიდეც. ტანსაცმელს დღეს ხელით აღარავინ კერავს. გვირისტით კერვა კი ფერადი ძაფებით ტანსაცმლის გაფორმებისას შეიძლება გამოვიყენოთ.

„წყლის ნაკერი“ ქსოვილზე ერთიანი ხვეული ხაზებით გამოისახება. ფერადი ძაფებით თანაბარი ზომის მცირე ხაზები

წარმოიქმნება, რომელიც კიდეებით ერთმანეთს ხვეულად ებმება. კერვა ნემსით ხდება. საკერავი ძაფი ნემსზეა აგებული. ნემსი ერთი მონაკვეთით წინ ჩაეყრება, მაგრამ ნემსის ამოყრა ისევ უკან ხდება, და არა მთელ მონაკვეთზე (ხაზზე), არამედ მცირე ნაწილზე, რაც თითოეულ ერთეულს (ხაზს) ერთიმეორეზე ხვეულად აბამს. თანაბარი ზომის ხაზები ერთმანეთს ხვეულად ებმება. ამრიგად, იქმნება ხვეული ხაზების მწკრივი (სურ. 3). ამგვარი ნაკერით გამოსახავდნენ ყვავილის ღეროს და ზოგიერთ დეტალს. წყლის ნაკერით შეგიძლიათ დღესაც შეამკოთ ტანსაცმლის ელემენტების ნაპირები. წყლის ნაკერით, სწორი ხაზების გარდა, მხატვრული სახეებიც სრულდება.

**ძაფის გრეხილებით ან წვრილი ზონრებით** მხატვრული სახეების გამოსახვა: დასაქარგავ ქსოვილზე ჯერ სახეს გადაიღებთ. მაუდზე ან ხავერდზე სახის გადატანა ორი წესით შეიძლება. 1) ქაღალდზე გამოიჭრება სახე, მას დავადებთ ქსოვილს და გარშემო კონტურებზე ლამბის ნაკერს შემოაყოლებთ. 2) სახის სხვა კონტურებზე ნემსით ნაჩვრეტებს გააკეთებთ, მას დაადებთ დასაქარგავ ქსოვილს და ზემოდან ცარცის ან სხვა თეთრ ფხვნილს დააყრით, ხელს წაუსვამთ, რომ ფხვნილი ყველა ნაჩვრეტში მოხვდეს. ქაღალდის აღების შემდეგ ქსოვილზე წერტილები დარჩება. კერვისას რომ არ წაიშალოს, მასაც ჯერ ლამბის ნაკერით მონიშნავთ, შემდეგ კი ზემოდან (კარგი პირიდან) ძაფის გრეხილებს დაადებთ და ქვემოდან (უკუღმა პირიდან) ნემსითა და ძაფით დაამაგრებთ (ნემსი ქვემოდან ამოეყრება და ისევ უკან ჩაბრუნდება). ამ უკანასკნელს „სამუშაო ძაფი“ ეწოდება. სამუშაო ძაფის ფერი საქარგავი ძაფის შესაფერისი უნდა იყოს, რომ ნაქარგზე არ გამოჩნდეს. სამუშაო ძაფით ჩამაგრებისას გრეხილის მხოლოდ ქვედა ნაწილს ჩაამაგრებთ, რომ არ ჩანდეს ჩამაგრების ადგილი; შეეცადეთ, რომ ჩამაგრებისას სამუშაო ძაფი არ მოსწიოთ, არ გაუჭიროთ; ძაფი თავისუფლად უნდა იყოს, რომ ჩამაგრების ადგილი არ დააჩნდეს. მეორე შემთხვევაში კი პირიქით, თანაბარი მანძილის დაცილებით. (ამ შემთხვევაში საქარგავად ძაფების მსხვილ შეკვრას გამოიყენებთ). მთელ სიგანეზე სამუშაო ძაფს მჭიდროდ მოუჭერთ და ნაქარგი სხვანაირი გამოვა. კარგია, ამგვარ ნაკერს საქარგავი ძაფით თავიდან ბოლომდე რომ უწყვეტლივ მიჰყვება — მიჰყვება მთელ კომპოზიციას.

ძველად ძაფის გრეხილებად, ძირითადად, ოქრომკედს ხმარობდნენ, ხოლო სამუშაო ძაფად — გასანთლული ბამბის ან აბრეშუმის წმინდა ძაფს.

მხატვრული კერვის საქმეში გამოიყენებოდა ოქროს ან ვერცხლისფერი სირმის სპირალურად დახვეული უწმინდესი ზამბარები, რომელსაც „კანიტელი“ ეწოდებოდა. მას მოჭრიდნენ ზომის მიხედვით, შიგ ნემსით ძაფს გაატარებდნენ და სახის მიხედვით ჩაამაგრებდნენ. ამგვარად ქმნიდნენ ყვავილებს, ფოთლებს და სხვა. ნაქარგზე კანიტელთან ერთად ოქრომკედს, აბრეშუმისა და „ხავერდულა“ ძაფსაც იყენებდნენ. კანიტელის მაგიერ ნაკერს აბრეშუმის, დემცის ან მულინეს ძაფითაც ასრულებდნენ. ძაფს საკერავ ნემსზე სპირალურად ახვევდნენ და იმავე ნემსით დანარჩენ ძაფსაც შიგ გაატარებდნენ და ისე ჩაამაგრებდნენ. მართალია, ამგვარ ნაკერს ფრანგული სახელი „როკოკო“ ჰქვია, მაგრამ მას ქართული შესატყვისიც მოეპოვება — „კვანძულა“, „კვინწილები“, რომელიც უფრო მცირე ზომის სპირალური ხაზებით კვანძებივით იქვე მაგრდება. (სურ. 4) სპირალური გრეხილი ხაზებისა და კვანძების საშუალებით იქმნება მხატვრული სახეები.

გავეცნოთ „კვანძულა“, „კვინწილებით“ ქარგვის პროცესს. ჩვეულებრივ საკერავ ნემსზე (ნემსი რაც შეიძლება გრძელი იხმარეთ) ააგეთ ფერადი ძაფი („მულინეს“, აბრეშუმის ან მატყლის წმინდა ნართი), ნემსი ამოუყარეთ დასაქარგავ ქსოვილზე, ისე რომ ნემსის უმეტესი ნაწილი გარეთ იყოს გაწეული. სწორედ ამ ნაწილზე სპირალურად, მჭიდროდ დაახვიეთ ნემსზე აგებული ძაფი, „კვანძულასათვის“ 3-4 ჯერ გადაახვიეთ, (სურ. 4) გრძელი ხაზისათვის კი (სურ. 5) იმდენი დაახვიეთ, რასაც დასაქარგავი სახის დეტალი გიჩვენებთ (წვრილი ყვავილები და სხვა), შემდეგ მას მარცხენა ცერი თითის ფრჩხილი დააჭირეთ, რომ არ გაიშალოს და ნემსი ისე გასწიეთ, რომ მასზე აცმული ძაფიც მთლიანად გაიტანოთ (ე. ი. ძაფის სპირალში გაატარებთ ნემსსა და დანარჩენ ძაფს) და ძაფის სპირალი საქარგავი ძაფის ძირში, ქსოვილთან დარჩეს, შემდეგ კი სახის მიხედვით სასურველი მიმართულებით ნემსითვე ჩაამაგრეთ. თუ ყვავილს აკეთებთ, ნემსი კვლავ იმავე ადგილას ამოუყარეთ და ხვეული ხაზები ყვავილის ფურცლებივით სხვადასხვა მიმართულებით ჩაამაგრეთ. სხვა ადგილზე გადასვლისას კი ნემსი ქსოვილის ქვემოდან გაატარეთ. აქვე უნდა შევნიშნო, რომ ნემსზე დახვეული ძაფის სპირალი ფრჩხილით უნდა გეჭიროთ, ვიდრე მას საბოლოოდ არ ჩაამაგრებთ, თორემ ძაფის სპირალური ხვეული გაიშლება და ფორმას დაკარგავს.

ამგვარი ნაკერით შესაძლებელია წვრილი „კვანძულებით“ ფონიც შექმნათ და ცალკეული დეტალებიც შეავსოთ (ყვავილის ფურცლები, ფოთოლი და სხვა). განსაკუთრებით მოსახერხებელია ყვავილის ბუტკოს გამოსახვა, გრძელი და მოხრილი ხაზებით კი შეიძლება წვრილი ყვავილის ფურცლები, ფოთლები და სხივები წარმოსახოთ. „როკოკო“ ანუ „კვანძულა“, სპირალურად ხვეული ნაკერი დღესაც პოპულარულია. აღწერილი წესით შეიძლება გააფორმოთ ტანსაცმლის დეტალები: კაბის ან კოფთის გულისპირი, სახელოს და ქვედატანის კალთის კიდეები, ნაქსოვი ხელჩანთები, ცხვირსახოცები და სხვა.

ც. ყარაულაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯვაროსნები რუსთაველის პროსპექტზე

ფელეტონი

არ გეგონოს, წამკითხველო,
ჯვაროსნული ომი,
ღმერთმა ნუ ჰქნას, ვინმე იყოს
ჩვენში ამის მდომი...
რუსთაველზე მოსეირნე
ლამაზმანებს ვხვდები,
ყელზე ჩამოკიდებული
მოქანავე ჯვრებით.
ერთხელ მოხუცებულებმა
გააყოლეს თვალი:
— ქალო, შეხე ახალგაზრდებს!
გადვირევი ქალი!
ეს ქვეყანა შემობრუნდა
თუ რა მოხდა, ნეტავ?
ძლივს ჭკუაზე არ მოსულან?!
მორწმუნეებს ხედავ?!
მოვესწრები შენს სიმართლეს
დიდებულო ღმერთო:
ეკლესიის კარიბჭესთან
ერთს სანთელიც ენთო! —
აგრაფინამ უპასუხა:
გადირიე, ქალო?
რის მორწმუნე, რა მორწმუნე
დაბერებულხარო!
მაგათ ჭკუას რომ უყურო
შეიშლები მალე,
მაგათი არ დაიჯერო,
შენ კი გენაცვალე!
არც ღმერთი სწამთ და არც ხატი,
მაღალსა თუ გოჯას,
ესენი რომ შინ შეუშვა
დაგიქცევენ ოჯახს!
ღვთის სახელით თაღლითობენ,
აჰყოლიან მოდას,
ყური უგდე მათ საუბარს
ვინ რას, ვინ რას ბოდავს!
განგებ, ხალხის დასანახად
უბრჭყვიალებთ ჯვარი,
დღე-ღამ საქმროს დაეძებენ,
ქმარი უნდათ, ქმარი!
უსაქმურთა მცირე ჯგუფი
მოსდებია ქუჩას.
ქრისტეს ჯვარი შესახედად
მხოლოდ მღვდელს თუ უჩანს!...
კესარიას ეს სიტყვები
სეტყვასავით მოხვდა...
მეც იქ ვიყავ, ეს ამბავი
როცა დღისით მოხდა.
ერთმა ჩაილაპარაკა:
— არ მოგხიბლოს ეშხმა,
ასეთები არც ღმერთს უყვარს,
არც ხალხს, და არც ეშმაკს!

კ. გოგიაშვილი

# მსოფლიოს სამზარეულოში

### იაპონური სალათი ბრინჯით

1 ჩაის ჭიქა ბრინჯი, 2 ჩაის ჭიქა წყალი, ცოტა მარილი, 250 გრამი შემწვარი ან მოხარშული ძროხის ხორცი, 1-2 ცალი ფორთოხალი.

საწებელი: 1 კვერცხის გული, 1 ჩაის კოვზი მდოგვი და შაქრის ფხვნილი, 1 სუფრის კოვზი ძმარი, $^1/_8$ ლიტრი მცენარეული ზეთი, 1 ცალი ფორთოხალი, 1 სუფრის კოვზი სიმინდის ფქვილი, ლიმონის წვენი, $^1/_2$ ჩაის კოვზი მარილი.

ბრინჯი გავრეცხოთ და მოვხარშოთ. მოვათავსოთ საწურში და გადავავლოთ ცივი წყალი. კვერცხის გული, მდოგვი, შაქრის ფხვნილი, ძმარი, მარილი კარგად ავურიოთ ერთმანეთში, თანდათან დავუმატოთ ზეთი. წყალში გარეული ფორთოხლის წვენი (1 სუფრის კოვზი წვენი, 7 სუფრის კოვზი წყალი). ფორთოხლისწვნიან წყალში გავ[illegible]რათ სიმინდის ფქვილი, წამოვადუღოთ. ყველაფერი ეს შევაზავოთ მაიონეზით. ბრინჯი, ოთხკუთხედებად დაჭრილი ხორცი, გახეხილი ფორთოხლის კანი ერთმანეთში ავურიოთ. სალათას დავასხუროთ ლიმონის წვენი. მაგიდაზე ცივი მივიტანოთ.



### ღვიძლი იაპონურად

1 ჩაის ჭიქა ბრინჯი, 2 ჩაის ჭიქა წყალი, $^1/_2$ ჩაის ჭიქა მწვანე ბარდა, 300 გრ. ღვიძლი, მცენარეული ზეთი, ცოტა სიმინდის ფქვილი, მარილი, წითელი დაფქული წიწაკა, სოიის საწებელი (აღნიშნულის მაგივრად შეგიძლიათ მწვანილის გამოყენებაც). 1 ჩაის ჭიქა დაკონსერვებული ან 1-2 ცალი ახალი მანდარინი.

ბრინჯი მოვხარშოთ. ბარდა მოვშუშოთ და ავურიოთ ბრინჯში. დავუმატოთ სოიის საწებელი და დავდგათ თბილ ადგილას. ღვიძლს მოვაყაროთ მარილი და წითელი წიწაკა, ამოვავლოთ ფქვილში, კარგად შევწვათ ორივე მხრიდან მცენარეულ ზეთში და დავასხუროთ სოიის საწებელი, ოდნავ შემწვარი მანდარინი თავზე მოვალაგოთ ბრინჯსა და ღვიძლს.

გათვალისწინებულია 2 ულუფისათვის.



### თევზის კვერები იაპონურად

500 გრ თევზის ფილე, 1 სუფრის კოვზი სიმინდის ფქვილი, სოიის საწებელი (ან მწვანილი), 1 ჩაის კოვზი მცენარეული ზეთი, 1 კვერცხი, 1 სუფრის კოვზი სადესერტო ღვინო. ერთი მწიკვი შაქრის ფხვნილი, მარილი, წიწაკა და ცხიმი შესაწველად.

თევზის ფილეს გამოვაცალოთ ძვლები, გავატაროთ ხორცსაკეპ მანქანაში, ავურიოთ სიმინდის ფქვილი, კვერცხის გული, მცენარეული ზეთი, მწვანილი და სადესერტო ღვინო. კვერცხის ცილა შაქრის ფხვნილში ცალკე ავთქვიფოთ და მოვასხათ თევზის მასას, გავაბრტყელოთ თითის სისქეზე, მივცეთ კვერის ფორმები და ორივე მხრიდან ცხიმში კარგად შევწვათ. მოვრთოთ მწვანე სალათით.

გათვალისწინებულია 3 ულუფისათვის.

## ფერად-ფერადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### სპილოების „კურსანტები“

ბირმის ჯუნგლებში თორმეტი ველური სპილო დაიჭირეს. „სწავლის კურსის“ გავლის შემდეგ მათ ხე-ტყის დასამზადებელ სამუშაოებზე გამოიყენებენ. ტყის გოლიათების გაწვრთნა საკმაოდ ადვილია, ისინი სწრაფად და შეუცდომლად ითვისებენ ორმოცამდე ბრძანებას.

### მაიმუნი... ოფიციანტი

ბრაზილიის პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ რესტორნის ერთმა მოხერხებულმა მფლობელმა, იმისათვის, რომ კლიენტები მიეზიდა, ოფიციანტად „დაიქირავა“... მაიმუნი. გავიდა დრო და მაიმუნის ოფიციანტობა აღარავის აკვირვებდა. მაგრამ რიო-დე-ჟანეიროს ამ რესტორანს ხალხი მაინც ეტანებოდა. აღმოჩნდა, რომ კლიენტებს უცნაური ოფიციანტი კი არ იზიდავდა, არამედ მომსახურების სისწრაფე. კლიენტი სპეციალურ ბლანკზე დაწერილ შეკვეთას დადებს სინზე და ოფიციანტს სასწრაფოდ მიაქვს სამზარეულოში. ორიოდე წუთის შემდეგ იგი შეკვეთილი საჭმელებით ბრუნდება უკან.

### შავი ბიზნესის კომბინატი

ამერიკის ნარკომანების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს აგენტებმა გვატემალის პოლიციასთან ერთად დააკავეს ნარკოტიკების დიდი პარტია, რომლის საერთო ღირებულება 70 მილიონი დოლარია.

სამმართველოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ქალაქ გვატემალიდან 50 კილომეტრზე აღმოაჩინეს კოკაინის დასამუშავებელი და გასაგზავნი კომბინატი. ერთობლივი ოპერაციის შემდეგ კონფისკაცია უყვეს ერთ თვითმფრინავს, რამდენიმე ავტომანქანას, რადიოსადგურს და იარაღის საწყობს.

გარეკანზე — საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის პანო „დიდება შრომას“

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი ჭ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი)

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, №: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის — 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 21/VI-76 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/VIII-76 წ. ქაღალდის ზომა 60×90 $^1/_8$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3 ტირაჟი 121 500. შეკვ. 2218 უე 09682 ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საბჭოთა და მსოფლიო მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, აკადემიკოსი ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილი

მათემატიკისა და მექანიკის დარგში თვალსაჩინო მეცნიერული მოღვაწეობისათვის ნიკოლოზ მუსხელიშვილი 1933 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს, 1939 წელს კი — ნამდვილ წევრად

30 წელზე მეტ ხანს იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი; დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა და მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში მისი ნაშრომები, რომლებიც დრეკადობის თეორიას, ინტეგრალური განტოლებების თეორიას, მათემატიკისა და მექანიკის სხვა დარგებს შეეხება, ფართოდ არის აღიარებული. იგი საზღვარგარეთის ბევრი მეცნიერებათა აკადემიისა და სამეცნიერო საზოგადოების წევრი იყო.

დიდ მეცნიერულ და პედაგოგიურ მუშაობას მეცნიერი კარგად უხამებდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას

ნიკოლოზ მუსხელიშვილი არჩეული იყო სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად, მინიჭებული ჰქონდა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო ექვსი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის ორდენებით, მედლებით..

ჩვენი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტის, საუცხოო ადამიანის, დიდი მეცნიერის ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილის ნათელ ხსოვნას სამუდამოდ შეინახავს მადლიერი საბჭოთა ხალხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



70 წელი შეუსრულდა სსრ კავშირის სახალხო მხატვარს, დიდ ქართველ ფერმწერსა და გრაფიკოსს უჩა ჯაფარიძეს.

უჩა ჯაფარიძის საინტერესო ფერწერული კომპოზიციები, რომლებშიც ასახულია ჩვენი ხალხის გმირული წარსული, თავდადებული ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ, მშრომელი ხალხის ცხოვრების ამსახველი ჟანრული შინაარსის ეპიზოდები, ქართველ მოღვაწეთა პორტრეტები, ილუსტრაციები, ჩანახატები, ბევრჯერ ყოფილა გამოფენილი ეოსკოვში, მოძმე რესპუბლიკების დედაქალაქებსა და საზღვარგარეთ.

სახელოვან მამულიშვილს, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილ წევრს უჩა ჯაფარიძეს ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციის კოლექტივი, სარედაქციო კოლეგია და მრავალრიცხოვანი მკითხველი ულოცავენ დაბადების დღეს და უსურვებენ ჯანმრთელობასა და ახალ-ახალ შემოქმედებითს წარმატებებს